

საბა

N1 (313), I, 2022



საეპარქიო კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე
THE MONTHLY BULLETIN OF CATHOLICS OF GEORGIA - SABA



გილოცვა
შოპა-ახალ წელს!

ინვარი



შობა - გამოგებულნი და
გაკვირვებულნი სიყვარულის
წინაშე..... 3

კათოლიკე ეკლესიის
მსოფლიოში..... 4-5

ბიჭი ერისმეთთან
ნაძვის ხეზე..... 6-7

2022 წლის 1 ინვარი:
მშვიდობის დღე..... 8

პაპ ფრანცისკას სიძვერა შობ
პირთა სავარსებობის დღესთან
დაკავშირებით..... 9-10

შობის აღნიშვნის ტრადიციის
საბჭოთა ეპოქაში..... 11-12

რიჩარდ მენიერის დიდი
საიუბილეო ეკლესია..... I-IV

ქრისტიანთა ერთიანობისათვის
ლოცვის კვირეული..... 13

ძალიან ცნობილი ეპიქი..... 14

გერმანული საშობაო ნამცხვარი
შობილენი 15

შვიდასი წლისთავი დანდა
აღიგებარის დაბადებიდან. 16-17

ეკლესიის სოციალური სწავლება
სემინარი საბაუში..... 18

ფიქრები იმ დღეზე, როგორც არ
აღინიშნა..... 19-20

რატომ, დედა?
რატომ, მამა? 21-22


მონაზონი გონი პოეტიანი..... 23

- 1 ღვთისმშობლობა, მშვიდობისათვის ლოცვის მსოფლიო
დღე
- 6 ღვთის განცხადება
- 9 უფლის ნათლისღება
- 13 იეზუიტ მ. ჰარვეი ლორიერ კროსბის გახსენება (+2016)
- 18 ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეულის
დასაწყისი
- 21 ეკუმენური ლოცვა სომხურ სამოციქულო ეკლესიაში,
16.00 სთ, სურბ გევორქის საკათედრო ტაძარში.
- 23 ღვთის სიტყვის კვირადღე
- 25 წმ. პავლეს მოქცევა, ქრისტიანთა ერთობისათვის
ლოცვის რვადღეულის დასასრული, არალში მეშურნეთის
ეკლესიის დღეობა
- 27 წმ. ნინოს დღესასწაული, საქართველოში კათოლიკე
ეკლესიის მფარველი, წმ. ნინოს დების კონგრეგაციის
მფარველი
- 31 წმ. იოანე ბოსკო, საღელ მამათა და დედათა
კონგრეგაციების დამაარსებელი



**გილოცავთ ქრისტეშობას! მთელი
ბულით გისურვებთ ოჯახურ სიმშვიდას,
სიკეთესა და სიყვარულს, ახლობლებთან
ურთიერთგაგებას! დაე, ამ წელს მოგიტანოთ
მხოლოდ კეთილდღეობა და სასიხარულო
ამბები, რასაც ჩვენთან ერთად ნიკიტხავთ
ჩვენი ჟურნალის ახალ გამოშვებებში!
დაე, ყრმა იესომ დაგიცვათ ყოველგვარი
ხიფათისაგან და მუდამ შემოგთავაზოთ
სწორი გადაწყვეტილებები! ლოცვით ჟურნალ
„საბბს“ ჩედაქცინა!**

შობა - ბაობნებულნი და ბაკვირვებულნი სიყვარულის წინაშე



აინშტაინი ამბობდა, რომ იგი, ვისაც აღარ შეუძლია გაკვირვება და გაოცება, უკვე მკვდარია და მის თვალს ჩინი დაჰკარგია.


ყოველი ნამდვილი დასაწყისის სათავე გაკვირვებაა! დასაწყისი არ გულისხმობს ქრონოლოგიურ ათვლას, მისი საწყისი წერტილი მოიძიება არა კალენდარში, არამედ გულის ცვლილებაში! გაკვირვება შემოქმედი ძალაა, სწორედ ის წარმოშობს ცხოვრების ახალ საზრისს. სამყარო იწყება იმ გაკვირვებით, რასაც თავად ღმერთი გრძნობს თავისივე ხელთა ნამოქმედარის დანახვისას. ხსნის ისტორიის სათავეც აბრაამის გაოცებაშია, როდესაც მას ესმის მოხმობა, იქცეს მრავალი ხალხის მამად, და მარიამის გაოცებაში, ღმრთის სიტყვის განხორციელების წინაშე რომ ეუფლება, ანგელოზისაგან უწყების მიღებისას. შობა გაოცების დღესასწაულია და გვასწავლის გაოცებას. არ არსებობს შობა გაოცების გარეშე!

იხილეს ბავშვი, ჩვრებში გახვეული და ბაგაში მწოლი. მწყემსების შესახებ ნათქვამი ეს „იხილეს“ მოიცავს მთელ გაკვირვებას მოულოდნელი და გამაოგნებელი ამბით, თავბრუს რომ გვასხამს და შევყვართ იმ უხილავი სინამდვილის ჭვრეტაში, რასაც სიყვარული ჰქვია! შობაა: ღმერთი ხდება ადამიანი ადამიანის სიყვარულის გამო! „და სიტყვა იქმნა ხორცი და დაემკვიდრა ჩვენს შორის (...) და ჩვენ ვიხილეთ მისი დიდება“ (იოანე 1,14).

ძალგვიძს კი კვლავაც აგვალეღოს ღმრთის სიყვარულმა? რაა იმის მიზეზი, რომ ვეღარ ვახერხებთ მის წინაშე გაოგნებას? რატომ? ხშირად პასუხი ამგვარია ხოლმე: „ეგ ხომ უკვე ნანახი მაქვს, უკვე მოვისმინე, უკვე ყველაფერი ვიცი“. შემთხვევით, რწმენა ხომ არ გაგვცვითა ჩვეულებებით? იქნებ გამოკეტილნი ვართ ჩვენს წყრომსა და სამღურავში და ხელ-ფეხზე გვადევს ჩვენივე დაუკმაყოფილებლობის ბორკილები? შესაძლოა იმიტომაც, რომ ყველაფრის იმედი გადაგვწურვია და საკუთარი თავი უსარგებლო რამ გვგონია, კიდევ მეტი, — შეცდომა. მაგრამ ამ ვარაუდების უკან შესაძლოა, იმალება სული წმიდის ნიჭისათვის მიხურული კარი. არადა გაკვირვება ხომ მისი მადლის პირველი ნიშანია! გაკვირვებიდან ხელახლა ავიდგათ ფეხი. დავიწყეთ გაოცებიდან; შევხედოთ ჩვრებში გახვეულ ჩვილს და ვუთხრათ მას: „უფალო, რარიგ გყვარებოვარ! რა ძვირფასი ვყოფილვარ შენთვის!“. დავანებოთ იესოს ჩვენი გაოცება, რათა სიცოცხლე გაგვიცოცხლდეს, ვინაიდან ცხოვრების სიღიადე მრავალი რამის ქონებას როდი ნიშნავს, არც იმას, რომ სხვებმა ქედი მოგიხარონ, არამედ იმას, აღმოაჩინო, რომ ვილაცას უყვარხარ.

შობა: ღმერთი ხდება ბავშვი, ჩემს შესაყვარებლად! დაუფერებელია, მაგრამ ასეა! დაე, გაკვირვებამ აგავსოს ღმრთის საკვირველებათა ხედვისას!
გილოცავთ შობას!





უწმიდესი ფრანცისკეს ვიზიტი კვიპროსსა და საბერძნეთში

პონტიფექსის რიგით 35-ე სამოციქულო მოგზაურობა 2 დეკემბერს, კვიპროსით დაიწყო. ლარნაკის აეროპორტში ოფიციალური შეხვედრის შემდეგ პაპი გაემგზავრა კვიპროსის რესპუბლიკის დედაქალაქ ნიქოზიაში, სადაც კათოლიკურ ტაძარში ადგილობრივ იერარქებს, სამღვდელოებს, სემინარისტებსა და კატექიზატორებს შეხვდა. მოგვიანებით, იმავე დღეს, გაიმართა უწმიდესი ფრანცისკეს შეხვედრა ქვეყნის პრეზიდენტთან, ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან. 3 დეკემბერს პონტიფექსი მთავარეპისკოპოსის რეზიდენციაში კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს, ქრიზოსტომოს II-ს ესაუბრა, შემდეგ კი დედაქალაქის საკათედრო ტაძარში სინოდის წევრებს შეხვდა. სალამოს დედაქალაქის სტადიონზე უწმიდესმა პაპმა წირვა აღავლინა. კვიპროსზე ვიზიტის დასკვნითი მოვლენა ეკუმენური ლოცვა იყო, რომელიც ფრანცისკემ წმიდა ჯვრის კათოლიკურ სამრევლოში მიგრანტებთან ერთად აღავლინა. 4 დეკემბერს პაპი საბერძნეთისკენ გაემართა. ვიზიტი, ტრადიციისამებრ, ქვეყნის ხელისუფლებასთან და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრით დაიწყო, რის შემდეგაც უწმიდესი ფრანცისკე ქვეყნის კათოლიკე ეკლესიის სამღვდელოებსა და ბერ-მონაზვნებს ესტუმრა. ამავე დღეს პონტიფექსი ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარეპისკოპოსს, იერონიმე II-ს შეხვდა. 5 დეკემბერს, დილით, ფრანცისკე კუნძულ ლესბოსზე ლტოლვილთა მიმღებ ცენტრს ეწვია. „ჩვენი რწმენა თანაგრძნობისა და გულმონყალებისკენ მოგვიწოდებს. ის გულისხმობს სტუმართმოყვარეობას და ფილოქსენიას, რომლითაც გამსჭვალული იყო კლასიკური კულტურა და რომელიც მთელი თავისი სისრულით იესოში გამოვლინდა“, - აღნიშნა თავის სიტყვაში უწმიდესმა პაპმა. ლტოლვილებთან შეხვედრის შემდეგ პაპი ათენში დაბრუნდა და „მეგარონის“ საკონცერტო დარბაზში წმიდა წირვა აღავლინა. 6 დეკემბერს ფრანცისკე რომში დაბრუნდა.



კათოლიკური დახმარების სამსახური ავღანეთში

მას შემდეგ, რაც აშშ-ს საჯარისო შენაერთებმა ავღანეთი დატოვეს, ვითარება ქვეყანაში დღითიდღე უარესდება, როგორც ეკონომიკურად, ისე უსაფრთხოების მხრივ, თუმცა კათოლიკური დახმარების სამსახური რეგიონში მუშაობის შეწყვეტას არ აპირებს და ქვეყნის მოსახლეობის სავალალო ყოფის შემსუბუქებას ცდილობს. ახლო აღმოსავლეთის, ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონული განყოფილების დირექტორის, კევინ ჰარტიგანის ცნობით, ორგანიზაციამ თაღიბებთან მოლაპარაკება და ქვეყნის ათ რეგიონში დახმარების პროგრამის განახლება შეძლო. სამსახურის მოკლევადიანი და ერთჯერადი დახმარების პროგრამები ძირითადად მოსახლეობის ყველაზე გაჭირვებული ფენების საკვები პროდუქტების მომარაგებაზეა მიმართული. საკვები პროდუქტების, მედიკამენტებისა და პირველადი საჭიროების საგნების გარდა, ორგანიზაცია სოფლის მოსახლეობას სათეს მასალას აწვდის, რადგან ზოგიერთ რეგიონში გვალვის შედეგად ნათესები განადგურდა. ასევე მოხერხდა მეცადინეობის აღდგენა ორგანიზაციის რამდენიმე სკოლაში. ქვეყანაში



თალიბების გაბატონებამდე კათოლიკური დახმარების სამსახურების მიერ ორგანიზებულ სკოლებში და სასწავლო ცენტრებში ოცდათხუთმეტი ათასი ბავშვი იღებდა განათლებას.

„სინოდური გზა - სივრცე ყველასთვის“

ნოემბრის ბოლოს იტალიის ეპისკოპოსთა კონფერენციის სინოდური გზისადმი მიძღვნილი შეხვედრა გამართა. „სინოდური გზა უნდა გახდეს შეხვედრის სივრცე ყველასთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც მოშორდა ეკლესიას, მისი ცხოვრების განაპირზე აღმოჩნდა, გაანელა ნათლობის ცეცხლი და უჭირს საკუთარი თავის, როგორც ეკლესიის წევრის, გაცნობიერება. ძალზე მნიშვნელოვანია სინოდურ პროცესში საეროთა აქტიური მონაწილეობა. რა თქმა უნდა, ყველა არ მოვა, მაგრამ მოწოდების ხმა ყველას უნდა მისწვდეს. თუკი მოძღვრები სულიწმიდის მორჩილებით წარუძღვებიან სინოდურ ჯგუფებს სხვადასხვა კოტეჯსტში და სხვადასხვა ადგილას, იქ, სადაც ადამიანები ცხოვრობენ, სწავლობენ, მკურნალობენ ან მუშაობენ - ეს სინოდურობის ნამდვილი გამოვლინება იქნება. ადამიანებს ახლებურად უნდა ვუსმინოთ, ახალი მიდგომები უნდა ვეძიოთ, რათა ყველამ - ლატაკმა, დაკარგულმა, განზილებულმა, რწმენადაკარგულმა, შეძლოს ეკლესიის წიაღში საკუთარი რწმენის გამოვლენა“, - ნათქვანია ასამბლეის დასკვნით დოკუმენტში. შეგახსენებთ, რომ კათოლიკე ეკლესიის სინოდი 2021 წლის 9 ოქტომბერს გაიხსნა და 2023 წლის ოქტომბრამდე გაგრძელდება.



თრადიციული საშობაო ნაძვის ხე წმიდა პეტრეს მოედანზე

1982 წლიდან წმიდა პეტრეს მოედანზე ყოველ ქრისტიანობას საახალწლო ნაძვის ხე ირთვება. წელს 28 მეტრიანი ნაძვი ანდალოდან, ტრენტინოს რეგიონიდან ჩამოიტანეს. სადღესასწაულო ნათურები 10 დეკემბერს აინთო. საშობაო ნაძვის ხე წმიდა პეტრეს მოედანს 10 იანვრამდე დაამშვენებს. წმიდა საყდრის პრეს-სამსახურის ცნობით, ნაძვი მდგრადი განვითარების სატყეო მეურნეობიდან ჩამოიტანეს. მოსართავის სათამაშოებიც ხის მასალისგანაა დამზადებული. ნაძვის განათებისთვის ეკონომიური ელექტრომობხარების მოწყობილობა გამოიყენება. ბაგის მთავარი სცენის დეკორაციები წელს ცოპკას ტომის პერუელმა ხუთმა ინდიელმა მხატვარმა დაამზადა. სცენა ნატურალური ზომის ოცდაათზე მეტი ფიგურისგან შედგება. ბაგის სცენაში წარმოდგენილი ცხოველები და პერსონაჟების სამოსი პერუს რეგიონს ეკუთვნის. უკვე მეოთხე წელია, ვატიკანი „100 ბაგის გამოფენას“ მასპინძლობს. გამოფენა წმიდა პეტრეს მოედანზე 5 დეკემბერს გაიხსნა და მნახველებს ასის ნაცვლად 126 ინსტალაციას სთავაზობს. ექსპონატები სხვადასხვა მასალისგანაა დამზადებული: ქალაქისგან, ხისგან, სხვადასხვა ქსოვილებისგან. შოკოლადის მწარმოებელმა კომპანიამ Il Cioccolato dei Trappisti შოკოლადისგან დამზადებული ბაგა წარმოადგინა. „100 ბაგის გამოფენა“ 1976 წლიდან პიაცა დელ პოპოლოზე ტარდებოდა, 2018 წლიდან კი წმიდა პეტრეს მოედანზე გადმოინაცვლა. გამოფენის ორგანიზატორი ახალი ევანგელიზაციის პაპის საბჭოა.



„ბიჭი ქრისტესთან ნაძვის ხეზე“

ფაშთარია. ფანჯრის მიღმა ჩუმიად ცვივა თოვლის ფანთალები...

ცხელი ჩაის ამინდია, მყუდროდ განმარტოებისა და შესანიშნავი მოთხრობების კითხვის ამინდი... ვალმერთებ ამ შეგრძნებებს! ამჯერად საშუალება მომეცა, გავცნობოდი ფიოდორ დოსტოევსკის შესანიშნავ მოთხრობას „ბიჭი ქრისტესთან ნაძვის ხეზე“. რაზე დაგვაფიქრებს ეს ნაწარმოები? სავსებით დარწმუნებული ვიყავი, რომ ამბავს, სადაც აღწერილია შობის დღესასწაულის სინამდვილე, კარგი დასასრული უნდა ჰქონოდა. მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. ნაწარმოების ავტორმა საჭიროდ არ მიიჩნია, გაელამაზებინა სინამდვილე. მეჩვენება, რომ იგი განზრახ გადაუხვევს ტრადიციას. მისი პატარა, უსახელო გმირი ვერ მიიღებს საშობაო საჩუქარს გარშემომყოფთაგან, მაგრამ ბედნიერი და აღტაცებულია ქრისტესთან ნაძვის ხეზე. მაშ, რატომ არავისში არ იწვევს თანაგრძნობას დიდი ქალაქის ქუჩებში გაყინული პატარა ბიჭი?

ბავშვობა უზარმაზარი სამყაროა, სადაც არავინ და არაფერი კვდება. ეს დიდი პლანეტაა, სადაც ყოველ ბავშვს სწავლია სიყვარული და სურს, ყველასთვის საყვარელი იყოს. სად მთავრდება ბავშვობა? ალბათ თითოეულისათვის სხვადასხვანაირად. ვილაც, მაგალითად, შეიტყობს, რომ ნმიდა ნიკოლოზი უბრალოდ კოსტუმში გამოწყობილი ადამიანია, რის შემდეგაც ველარ ირწმუნებს სასწაულს, რომელიც ბავშვთა სამყაროს მთავარი შემადგენელი ნაწილია. უფროსებს არ სწამთ სასწაულის, ისინი რეალისტები არიან. რეალურ სამყაროში კი ბოროტება და სიძულვილი, სამწუხაროდ, სიკეთეზე არანაკლებია.

ფიოდორ დოსტოევსკის მოთხრობაში „ბიჭი ქრისტესთან ნაძვის ხეზე“ ამქვეყნიური სინამდვილე დანახულია „პატარა ადამიანის“ თვალთ. ეს, ჩემი აზრით, მეტ ტრაგიკულობას სძენს ნაწარმოებს. არავის სურს გაათბოს პატარა, ჩამოკონკილი ბავშვი, იგი ყველასგან გაძევებულია. ბიჭი ვერ გეზულობს, რა ხდება და გარბის, ყველას გაურბის. ეს ალბათ მხოლოდ ბავშვებისთვის არაა დამახასიათებელი, უფროსებიც გაურბიან სირთულეებს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ

ბავშვების პრობლემები უფროსების პრობლემებია, მაგრამ პატარა ადამიანის ცხოვრებისეულ მდგომარეობას ვერაფერს მოაგვარებს. სწორედ აქ ვლინდება დოსტოევსკის მოთხრობაში ადამიანთა სისასტიკე და დაუდევრობა. თუმცა ეს ჩვენი დროისთვისაცაა დამახასიათებელი.

შობა სიკეთის, სინათლისა და, რა თქმა უნდა, ჯადოსნობის დღესასწაულია, მაგრამ არა ყოველთვის და არა ყველგან. ვილაც სიხარულით ხვდება ამ დღესასწაულს, ვილაც კი - მწუხარებით.

ბიჭი... მას არა აქვს სახელი. ის უბრალოდ ბიჭია. მას ჰყავს დედა, მაგრამ ის ძლიერ ავად გახდა და არც თვალების გახელა შეუძლია და არც განძრევა. იგი გარდაიცვალა, მაგრამ ბიჭუნა ამას ვერ ხვდება. ის ცხოვრობს ცივ და ნესტიან სარდაფში, სადაც არაა ერთი ცოცხალი არსებაც კი, გარდა ოთხმოცი წლის დედაბრისა, დღე-ღამე რომ ეზუზღუნება ბიჭს.

რალაც მაინც რომ შეჭამოს, ბიჭუნა იძულებულია, ხელგანვიღმა იაროს და გამვლელთაგან მოწყალება ითხოვოს, მაგრამ მას არავინ არაფერს აძლევს. ასეთები არიან სიმდიდრეს შეჩვეული ადამიანები და ამიტომაც ვერ ამჩნევენ ამ ბავშვის მსგავსებს. მხოლოდ ერთმა ქალბატონმა მისცა მას კაპიკი, მაგრამ ბიჭს ის დაუფარდა ყინულით დაფარულ კიბეებზე იმ სახლისა, სადაც შემთხვევით აღმოჩნდა და საიდანაც გააძევეს. მაგრამ ნებისმიერ მოთხრობაში არის რალაც კარგიც. ბიჭუნა ვიტრინებში დაინახავს თოჯინებს და სხვა სათამაშოებს, მაგრამ დიდხანს ვერ შეძლებს მათი მზერით დატკობას. ნეტარებას ნამიერად შეანყვეტინებს ბოროტი ბიჭი, რომელიც იქცევა სწორედ იმ ღერძად, რასაც ამ ამბის სევდიან დასასრულამდე მივყავართ. ისე გაიყინება ჩვენი პატარა გმირი, რომ ვერც კი მოასწრებს ცხოვრების მთელი სილამაზის დანახვას. ნელ-ნელა მოედინებიან ცხელი ცრემლები მკითხველის



თვალთაგან ამ ეპიზოდის კითხვისას. ბოლოს ბიჭი აღმოჩნდება იქ, როგორც ამ მოთხრობას ეწოდა - ქრისტესთან ნაძვის ხეზე. ბევრი ფიქრობს, რომ სწორედ ესაა ბედნიერი დასასრული. მაგრამ არა! ვინც კარგად ჩასწავდა ამ ისტორიას და შეიგრძნო ის, მიხვდება, რომ მოთხრობის დასასრულს ნათელი და მხიარული მომენტიც კი ვერ დაფარავს თავიდანვე დარჩენილ ჭრილობას.


ადამიანები ხშირად ირგებენ ნილაბს. ვფიქრობ, რომ დოსტოევსკი შეეცადა, ამ ამბით, რომელიც შობას დაუკავშირა, ეჩვენებინა ეს ჩვენთვის. შობის დიდ დღესასწაულზე, ჩვეულებრივ, ყველა ცდილობს სიკეთე აკეთოს და რაღაც გაუზიაროს გარშემომყოფთ. ადამიანები უბრალოდ ქმნიან დღესასწაულის ილუზიას. ნამდვილი დღესასწაულის არსი იმაშია, რომ სიკეთე ვაკეთოთ არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ სხვებისთვისაც, უცხო ადამიანებისთვისაც კი. დოსტოევსკიმ გვიჩვენა, როგორ ეპყრობოდნენ ადამიანები პატარა ბიჭუნას გასაჭირისას შობის ღამეს. არ ველოდი, რომ ეს ამბავი ბიჭის სიკვდილით დამთავრდებოდა. მაგრამ ეს არ არის ამბის ყველაზე უარესი დასასრული, ვინაიდან ბავშვი აღმოჩნდა

ქრისტესთან ნაძვის ხეზე, რომელიც განკუთვნილი იყო ყველა ბავშვისთვის, ვისაც არ ჰქონდა ასეთი ნაძვის ხე დედამიწაზე. მან საბოლოოდ პოვა სიმშვიდე და ბედნიერება, თუმცა არა დედამიწაზე, არამედ ცათა სასუფეველში.

ბავშვობა მშვენიერი ხანაა, სადაც სიყვარული და გაგება სუფევს... არა, ასე არაა... ბავშვობა მშვენიერი ხანაა, სადაც სიყვარული და გაგება უნდა სუფევდეს! ჩვენ, ყველას, უბრალოდ ცოტა მეტი ყურადღება გვმართებს. სწორედ ამაზე ვფიქრობდი, როცა ვკითხუ-

ლობდი ფიოდორ დოსტოევსკის მოთხრობას „ბიჭი ქრისტესთან ნაძვის ხეზე“.

ეს ამბავი შექმნილია იმისთვის, რომ გვასწავლოს საკუთარი და სხვისი ცხოვრების დაფასება. და თუ მდიდარი და ცნობილი ხარ, მაშინ სხვას ზურგი არ უნდა შეაქციო. თუნდაც ყველაფერი ისე მოგვარდეს, როგორც ამ ამბავშია, მოიძებნება ადგილი, სადაც ადამიანი ყოველთვის ბედნიერი იქნება...



**ფიოდორ მიხეილის ძე დოსტოევსკი
(1821-1881)**

დაიბადა ექიმის ოჯახში. დაამთავრა პეტერბურგის სამხედრო-საინჟინრო სასწავლებელი (1843). მსახურობდა საინჟინრო დეპარტამენტის სამხაზველოში. მალე თავი დაანება სამსახურს. პირველივე ნაწარმოებმა („საბრალო ადამიანები“, გამოქვეყნდა 1846) გაუთქვა სახელი და მოწინავე რუს მწერალთა რიგში ჩააყენა. შემდგომ ზედიზედ გამოვიდა მოთხრობები „ორული“ (1846), „დიასახლისი“ (1847), „თეთრი ღამეები“ (1848), „ნეტორჩკა ნეზვანოვა“ (1849). 1847 წელს დოსტოევსკი შევიდა პეტრაშეველთა რევოლუციურ წრეში, ერთ-ერთ სხდომაზე წაიკითხა ბელინსკის წერილი გოგოლისადმი. 1849 წელს სხვა პეტრაშეველებთან ერთად დააპატიმრეს და სიკვდილი მიუსაჯეს, რაც განაჩენის აღსრულებამდე უკანასკნელ წუთს ციმბირის კატორღით შეუცვალეს. კატორღის შემდეგ დოსტოევსკი სალდათად გაამწესეს და მხოლოდ 1859 წელს დართეს ცენტრალურ რუსეთში დაბრუნების ნება.

დოსტოევსკიმ შექმნა მაღალმხატვრულ პერსონაჟთა გალერეა, კარიერისტებით დაწყებული და მაღალი „იდეოლოგებით“ დამთავრებული.

დოსტოევსკის მთავარი რომანებია „დანაშაული და სასჯელი“ (1866), „იდიოტი“ (1868), „ემშაკინი“ (1871-1872), „ყმანვილი“ (1875), „ძმები კარამაზოვები“ (1879-1880).

დოსტოევსკი ჟურნალისტურ და პუბლიცისტურ მოღვაწეობასაც ეწეოდა, ძმასთან ერთად გამოსცემდა ჟურნალებს „ვრემია“ (1861-1863), „ეპოხა“ (1864-1865). რედაქტორობდა რეაქციულ გაზეთ-ჟურნალს „გრაჟდანინი“ (1873-1874), ბეჭდავდა „მწერლის დღიურს“, რომელშიც პუბლიცისტურ წერილებთან ერთად აქვეყნებდა მხატვრულ ნაწარმოებებსაც.

2022 წლის 1 იანვარი: მშვიდობის დღე: „განათლება, დასაქმება, თაობათა შორის დიალოგი“

როგორ დავამყაროთ დღეს მდგრადი მშვიდობა? 2022 წლის 1-ლი იანვრის მშვიდობის დღის გზავნილში რომის პაპი სამ უკიდურესად აქტუალურ კონტექსტს გამოყოფს, რაზეც უნდა ვიმსჯელოთ და ვიმოქმედოთ: „განათლება, დასაქმება, დიალოგი თაობათა შორის: იარაღი მდგრადი მშვიდობის შესაქმნელად“. მას შემდეგ, რაც 2021 წელს შეთავაზებული იყო თემა „ზრუნვის კულტურა“, იმისათვის რომ „აღმოფხვრილიყო გულგრილობის, უარყოფისა და დაპირისპირების კულტურა, რაც დღეს ხშირად მძლავრობს“, წლევიანდელ წელს პაპმა ფრანცისკემ შემოგვთავაზა ინოვაციური წინადადება, რომელიც ამჟამინდელ და სამომავლო საჭიროებებს პასუხობს. ამ თემის მეშვეობით პაპი - როგორც მან უკვე განაცხადა რომის კურიისადმი მიმართვაში 2019 წლის 21 დეკემბრის საშობაო მილოცვებთან დაკავშირებით - გვინვეს, რომ „რწმენის თვალთა ნავიკითხვით დროის ნიშნები, რათა ამ ცვლილების კურსმა გააღვიძოს ახალი და ძველი კითხვები, რასთანაც დაპირისპირება სწორი და აუცილებელი იქნება“.

ამრიგად, ამ სამი გამოკვეთილი კონტექსტიდან გამომდინარე, შეგვიძლია საკუთარ თავს ვკითხოთ, როგორ შეიძლება განათლებამ და აღზრდამ შექმნას ხანგრძლივი მშვიდობა? დასაქმების

საკითხი მსოფლიოში მეტ-ნაკლებად პასუხობს თუ არა ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებებს სამართლიანობასა და თავისუფლებასთან დაკავშირებით? და ბოლოს, მართლაც იჩენენ თუ არა ერთმანეთის მიმართ სოლიდარობას თაობები? სჯერათ მათ მომავლის? და ამ კონტექსტში, რამდენად ახერხებს მთავრობა სამშვიდობო ჰორიზონტის დასახვას?

ეს არის მერვე გზავნილი მშვიდობის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, რასაც ხელს აწერს რომის პაპი ფრანცისკე. გზავნილს რომი პაპი გადასცემს სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებს, რომლებიც მას მოინახულებენ და გაეგზავნება კანცელარიებს მთელ მსოფლიოში. **რომის პაპ ფრანცისკეს გზავნილების თემა შეეხებოდა ძმობას, ბრძოლას მონობისა და გულგრილობის წინააღმდეგ, არაძალადობას, გონივრულ პოლიტიკას, მიგრანტებსა და ლტოლვილებს, დიალოგს, შერიგებასა და ეკოლოგიურ ცვლილებებს.**

შეგახსენებთ, რომ მშვიდობის მსოფლიო დღის აღნიშვნა დაანესა პაპმა პავლე VI-მ 1967 წლის დეკემბრის გზავნილით და პირველად იგი აღინიშნა 1968 წლის იანვარში, ვიეტნამის ომისა და 1955 წლიდან მომდინარე კონფლიქტის სამშვიდობო დაზავების ფონზე.



პაპ ფრანცისკას სიტყვა შშმ პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

„თქვენ ხართ ჩემი მეგობრები“ (იოან. 15,14)



ძვირფასო ძმანო და დანო, შშმ პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მსურს, პირადად თქვენ მოგმართოთ, ვინც შეზღუდული შესაძლებლობის სიმძიმეს საკუთარ თავზე განიცდით, რათა გითხრათ, რომ ეკლესიას უყვარხართ და მას ყოველი თქვენგანი სჭირდება თავისი წმინდა მისიისა და მსახურების აღსასრულებლად.

იესო მეგობარია

იესო ჩვენი მეგობარია! ეს მან თავად უთხრა მოწაფეებს უკანასკნელი სერობის დროს (შდრ. იოან. 15, 14). მისი სიტყვები ჩვენს გულამდე აღწევს და ცხადყოფს ჩვენთან მისი კავშირისა და ეკლესიასთან ჩვენი ერთობის საიდუმლოს.

ჩვენ, ქრისტიანებმა, მივიღეთ ერთგვარი ძღვენი: წვდომა იესოს გულთან და მასთან მეგობრობის შესაძლებლობა. ეს არის მაღლი, რომლითაც დაგვასაჩუქრეს და რომელიც ჩვენს მოწოდებად იქცევა, ჩვენი მთავარი მიზანია, ვიყოთ იესოს მეგობრები!

ეკლესია არის თქვენი სახლი

ნათლობა ყოველ ჩვენგანს საეკლესიო საზოგადოების სრულფასოვან წევრად აქცევს და ყველას, ყოველგვარი გამონაკლისისა თუ დისკრიმინაციის გარეშე, აძლევს საშუალებას თქვას: „მე ვარ ეკლესია!“ ეკლესია, თავისი არსით, თქვენი სახლია!

ჩვენ, ყველა ერთად, ვართ ეკლესია, რადგან იესომ გადამწყვიტა, რომ ჩვენი მეგობარი იყოს. ჩვენი მიზანია, ეს დღითიდღე უკეთესად ვისწავლოთ, იმ სინოდური პროცესის განმავლობაში, რომლის წარმართვაც ვიტვირთეთ — „ეკლესია თავის წინააღმდეგ სრულყოფილ ადამიანებს კი არ აერთიანებს, არამედ მონაფეებს, რომლებიც ჯერ კიდევ გზაში არიან და მიჰყვებიან უფალს, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ ცოდვილები არიან და მისგან პატიებას საჭიროებენ“ (კატექიზმო, 2016 წლის 13 აპრილი).

სამწუხაროდ, დღესაც კი, ბევრი თქვენგანი „საზოგადოებაში უცხო სხეულად აღიქმება, თავს გრძნობს გარიყულად, ყოველგვარი მიკუთვნებულობისა და თანაზიარების გარეშე“. „კიდევ უამრავი გარემოებაა, რომელიც სრულფასოვან მოქალაქეებად ყოფნის საშუალებას არ გაძლევთ“ (Enc. Fratelli tutti, 98). დისკრიმინაცია ჯერ კიდევ მეტისმეტად იგრძნობა სოციალური ცხოვრების სხვადასხვა დონეზე. მაგისტერიუმმა ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან მკაცრი პოზიცია დაიკავა, ბოლოს კი კატექუმენის დირექტორიუმმა საბოლოოდ დაადგინა, რომ „არავის აქვს უფლება, უარი უთხრას შშმ პირებს წმინდა საიდუმლოების მიღებაზე“ (n. 272). დისკრიმინაციის საპირისპიროდ, იესოს მეგობრობას, რომელსაც ყველანი ვიღებთ როგორც დაუმსახურებელ ძღვენს, შეუძლია გამოისყიდოს ჩვენი ცოდვები და მოგვცეს საშუალება, ჩვენი განსხვავებულობა სიმდიდრედ აღვიქვათ. ის ჩვენში ხედავს არა მის მსახურებს, ქალებსა თუ მამაკაცებს, არამედ სანდო მეგობრებს და იმის ღირსადაც მიგვიჩნევს, რომ მასთან ერთად შევიცნოთ ყველაფერი, რაც მან მამისაგან შეიცივნო (შდრ. იოან. 15, 15).

ბამოცდის ჟამს

იესოსთან მეგობრობა გამოცდის ჟამსაც გვიცავს. შესანიშნავად ვაცნობიერებ იმას, რომ Covid-19 პანდემიამ, რომელსაც ასე ძნელად ვაღწევთ თავს, თქვენს ცხოვრებაზეც შესამჩნევი კვალი დატოვა. ამ კონტექსტში შემოიძლია ვახსენო ხანგრძლივი დროით სახლში დარჩენის აუცილებლობა; ის სირთულეები, რომელიც ბევრ შშმ მოსწავლესა თუ სტუდენტს დისტანციური სწავლების საშუალებებთან წვდომის ნაკლებობასთან დაკავშირ-

ბით უჩნდება; დამხმარე სერვისები, რომლის მიწოდებაც არაერთ ქვეყანაში ხანგრძლივი პერიოდით შეწყდა; ასევე უამრავი სხვა სირთულეც, რომელთაგანაც თავის გართმევა ბევრ თქვენგანს მოუწია, მაგრამ, პირველ რიგში, ვფიქრობ იმ შუამ ადამიანებზე, რომლებიც თავშესაფრებში ცხოვრობენ და იმ ტკივილზე, რომელიც მათთვის ახლობლებთან იძულებით განშორებას მოაქვს. იცოდეთ, რომ პაპს და ეკლესიას თქვენთან განსაკუთრებული სიახლოვე გვაკავშირებს. გითანაგრძნობთ მთელი გულით!

სახარება ყველასთვისაა

ჩვენი მეგობრობა უფალთან ჩვენს მონოდებასაც განაპირობებს. მან შეგვარჩია იმისათვის, რომ ნაყოფი მოგვეტანა და ეს ნაყოფი უნდა იყოს გამძლე (შდრ. იოან. 15, 16). როცა ღვინის სახით მან თავისი სისხლი გვიბოძა, სურდა, ყველა რტოს, მასთან ერთობაში, ნაყოფი მოეტანა. ამრიგად, იესოს სურს, რომ ჩვენ მივალწიოთ „ჭეშმარიტ ბედნიერებას, რომლისთვისაც ვართ შექმნილნი. მინდა, რომ ვიყოთ წმიდანნი და არ მოველი იმას, რომ შეზღუდული, უფერული, არაფრის მომცემი ცხოვრებით დავკმაყოფილდებით“ (Adhort. ap. Gaudete et exsultate, 1).

ვიცი, რომ ზოგი თქვენგანი სხვაზე სრული დამოკიდებულების პირობებში ცხოვრობს. ამრიგად, მინდა, ზუსტადაც თქვენ მოგმართოთ თხოვნით და საჭიროების შემთხვევაში ვთხოვო თქვენი ოჯახის წევრებსა თუ ახლობლებს, რომ წაიკითხონ ეს გზავნილი და გაავრცელონ ის, თქვენ კი ილოცოთ. უფალი ყურადღებით ისმენს მათ ლოცვას, ვინც მას ენდობა. არავინ თქვას: „არ შემიძლია ლოცვა“, ვინაიდან, როგორც მოციქულმა თქვა, „სულიწმინდა სისუსტის ჟამს მოდის ჩვენს დასახმარებლად. თუკი არ შეგვიძლია, ვილოცოთ ისე, როგორც საჭიროა, თვით სულიწმინდა დაგვიდგება გვერდში და შეისმენს ჩვენს იმ ვედრებას, რომელსაც სიტყვიერად ვერ გამოვხატავთ“ (შდრ. რომ. 8, 26).

ძვირფასო ძმანო და დანო, თქვენი ლოცვა დღეს უფრო აუცილებელია, ვიდრე სხვა ნებისმიერ დროს. წმ. ტერეზა ავილელი წერდა, რომ „რთულ დროს უფლის მამაცი მეგობრები გვჭირდება მერყევი სულების გასამხნეველად“. პანდემიამ კარგად დაგვანახა, რომ ყველანი დაუცველები ვართ: „გავაცნობიერეთ ის, რომ ერთ ნაწილში ვსხედვართ. ყველა სუსტია და ორიენტაცია აქვს დაკარგული, მაგრამ ერთად უნდა გავუძღვეთ ჩვენს ნავს. ამის გასაკეთებლად უპირველესი გზა ლოცვაა. ეს ყველას შეგვიძლია, თუნდაც, მოსეს მსგავსად, მხარდაჭერა გვჭირდებოდეს (შდრ. გამ.

17, 10), შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ უფალი მოგვისმენს.

გისურვებთ ყოველგვარ სიკეთეს. გაკურთხოთ უფალმა და შეგენიოთ წმ. ღვთისმშობელი.

რომი, ლატარანის წმ. იოანეს ბაზილიკა,
2021 წლის 20 ნოემბერი

იხაჭუაძე მცირე შემოკლებით



შობის აღნიშვნის ტრადიცია საბჭოთა ეპოქაში

შობის განსაკუთრებულად საზეიმოდ აღნიშვნის ტრადიცია ყველა ქრისტიან ხალხში არსებობს, მაგრამ ადგილობრივი კულტურების ზემოქმედებით ამ ტრადიციამ სხვადასხვა ერებში განსხვავებული ნიშნებიც შეიძინა. საბჭოთა ათეისტური გავლენით საქართველოში შობის აღნიშვნამ კი საფუძვლიანი ტრანსფორმაცია განიცადა. მართალია, 30 წელია, რაც საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, მაგრამ შობის აღნიშვნის ტრადიციაში იძულებით შეტანილ ელემენტებს, სამწუხაროდ, დღესაც ვაწყდებით.



**ნუმბარ
ბარდაველიძე**

სულხან საბბ
ორბელიანის სახელობის
უნივერსიტეტის
პროფესორი

პირველი, რაც გასული საუკუნის 20-30-იანი წლების ბრუტალურმა, ანტისაკლესიო რეფორმებმა მოიტანა, იყო ის, რომ რელიგიური დღესასწაულების საჯაროდ აღნიშვნისგან მოსახლეობის დიდმა ნაწილმა იძულებით შეიკავა თავი. შობის აღნიშვნასთან დაკავშირებით კი მთავარი წინააღმდეგობა აღმოჩნდა ახალი წლის დღესასწაულით ქრისტიანული შობის ჩანაცვლების არცთუ უშედეგო მცდელობა. სახელმწიფო იდეოლოგიის გავლენით ახალი წლის ზეიმმა გადაფარა საშობაო ტრადიციები; მაგალითად, ნაძვის ხე, რომელიც მანამდე საშობაო დღესასწაულის თანმდევი ატრიბუტი იყო, გადაიქცა საახალწლო ნაძვის ხედ. ნაძვის ხის მთავარი, საშობაო დეკორატიული ელემენტი ბეთლემის ვარსკვლავი ნითელმა ვარსკვლავმა ჩანაცვლა, სანტა კლაუსი (წმინდა ნიკოლოზი) კი - აპოლიტიკურმა თოვლის ბაბუამ. ტრადიცია, რომ ოჯახის წევრებს საშობაო ვახშამზე ერთად მოეყარათ თავი და რომ შობას ყველა აუცილებლად საკუთარ ოჯახში უნდა შეხვედროდა, ახალ წელს დაუკავშირდა. ხოლო „ბედობა“, ტრადიცია, რომელიც საქართველოში არსებობს, ბარბარობის დღესასწაულიდან იღებს სათავეს. ბარბარო-

ბა მთის მაცხოვრებლებში სწორედ ახალი წლის დადგომას უკავშირდებოდა. გოზინაყიცი, რომელიც აუცილებელ საშობაო ნუგბარს წარმოადგენდა, საახალწლო ზეიმის განუყრელ თანამგზავრად იქცა. სპეციალურად საშობაო დღესასწაულისათვის ცომისგან აცხობდნენ „ბასილას“, წმ. ბასილის ფიგურებს, რომელიც, წმ. ნიკოლოზთან ერთად, საშობაო ზეიმის განუყრელი თანამგზავრი იყო. „ბასილას“ გამოცხობის ტრადიცია გასული საუკუნის ბოლოსთვის უკვე დაკარგული იყო.

ტაძრების დაკეტვამ და ლეთისმსახურების შეზღუდვამ მკვეთრად იმოქმედა რელიგიური დღესასწაულების, მათ შორის, შობის აღნიშვნის ტრადიციაზე. ბევრგან ქრისტიანული ტრადიციები ჩანაცვლა წარმართულმა წესებმა, რომელთა შესრულებაც არ მოითხოვდა მღვდელმსახურის მონაწილეობას. ძირითადად კი საშობაო ზეიმმა საახალწლო დღესასწაულის სახე მიიღო. გამონაკლისს წარმოადგენდა კათოლიკური სამრევლოები სამხრეთ საქართველოში. გასული საუკუნის მეორე ნახევარში მღვდელმსახურების გარეშე დარჩენილ კათოლიკე მორწმუნეებს, როგორც ლათინური, ასევე სომხურ-კათოლიკური წესის მიმდევრებს, აღმოაჩნდათ თვითორგანიზების უნარი. შობის აღნიშვნის ტრადიციები სწორედ სამცხე-ჯავახეთის კათოლიკეებში შემორჩა და ათწლეულების მანძილზე აგრძელებდა არსებობას. 24 დეკემბერს, ან წინა დღეებში, იწყებოდა საშობაოდ პირუტყვის დაკვლა და სადღესასწაულო ხორციანი კერძების მომზადება. ერთ-ერთი აუცილებელი კერძი იყო ტოლმა. ცხვებოდა სპეციალური ქაღები. განსაკუთრებულ დელიკატესს კი გოზინაყი წარმოადგენდა. აქვე აღვნიშნავ, რომ მამა ზურაბის ინიციატივით, ბოლო ორი წელია, თბილისისა და რუსთავის საკრებულოებში დაიწყო მესხური ტრადიციის აღდგენა, სამრევლო საბჭოს წევრები ამზადებენ გოზინაყს და საშობაო მსახურების შემდგომ უმასპინძლებიან მრევლის წევრებს.

ასევე, მესხეთის სოფლებში კათოლიკური ტრადიციის მატარებელი ოჯახები 24 დეკემბერს რთავდნენ საზეიმო ნაძვის ხეს, რაც მათი მეზობლების გაკვირვებასაც იწვევდა, რადგან იმხანად მოსახლეობაში ტრადიციად დამკვიდრდა ნაძვის ხის მორთვა 30 ან 31 დეკემბერს. კათოლიკეები 24 დეკემბრის ღამეს, 12 საათის შემდგომ, ფარულად იკრიბებოდნენ ხელისუფლების მიერ დახურულ სა-

ტაძრო ნაგებობებში და თვითორგანიზებით ლოცულობდნენ, შემდგომ კი ოჯახურ საზეიმო სუფრას შემოუსხდებოდნენ.

რაც შეეხება ხელისუფლების მხრიდან რელიგიური რიტუალების ჩატარებაზე კონტროლს, ცხადია, ეს ეხებოდა მოქმედ ტაძრებს. აღდგომის დღესასწაულის დროს, და ნაკლებად საშობაო დღესასწაულზე, დიდ ქალაქებში ადგილობრივი ხელისუფლება აწყობდა ე.წ. რეიდებს ეკლესიაში ლიტურგიაზე მყოფი მორწმუნე კომუნისტი და კომკავშირელი მოქალაქეების გამოსაგლეწად. აბა, იმასთან, ვინც კომპარტიის წევრი არ იყო, ვის რა ხელი ჰქონდა. 70-80-იან წლებში ამ რეიდებმა აშკარად ფორმალური სახე მიიღო და რეიდის წევრი პარტაქტივისათვის ეკლესიაში შესვლა და სანთლების დანთება ლეგალურ ქმედებად იქცა. თავად ვარ მონმე, როგორ ანთებდა სანთლებს რეიდის დროს პარტიის ცკ-ის იდეოლოგიური სამსახურის აქტიური მუშაკი ქალბატონი. რაც შეეხება კათოლიკურ ტაძარს, აქ რეიდები არ ეწყობოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თბილისის ოქტომბრის რაიკომში, რომლის მეთვალყურეობის ზონაშიც შედიოდა ის ტერიტორია, სადაც წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარი მდებარეობდა, უბრალოდ, არ ითვალისწინებდნენ, რომ კათოლიკე ეკლესია ახალი სტილით მოქმედებდა. ერთი-ორჯერ დაგვიანებით ეწვივნენ ტაძარს და მერე საერთოდ დაანებეს თავი კათოლიკეებთან რეიდებს.

პერესტროიკის შემდეგ კი დამოკიდებულება შეიცვალა. 1987 წელს საშობაო „ობლატკები“, (ხშიადი ორცხობილები) ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებს, განათლებისა და ხელოვნების მუშაკებს, უბრალოდ, ნაცნობ-მეგობრებს პირადად დაფურთხებდნენ. იმხანად კათოლიკური ეკლესიის მიმართ თბილისის საზოგადოებაში საკმაოდ დიდი ინტერესი და კეთილგანწყობილება სუფევდა. 1988 წელს, მამა იან სნეჟინსკისთან შეთანხმებით, საშობაო მსახურებაზე მრავალრიცხოვანი სტუმარიც მოვიწვიეთ, მათ შორის, ჩუღურეთის რაიონის ხელმძღვანელობა, რომლებიც დიდი ინტერესით ბოლომდე ადევნებდნენ თვალს მსახურებას. სამწუხაროდ, შემდეგი წლიდან რელიგიურმა შეუწყნარებლობამ იჩინა თავი და საშობაო „ობლატკების“ დაგემოვნებისაგან ბევრი უკვე თავს იკავებდა და საშობაო მსახურებაზეც ვეღარ ბედავდა დასწრებას.

და ბოლოს, მესხეთის კათოლიკურმა თემმა, მიუხედავად რეგიონში კათოლიკე ეკლესიის მოქმედების ნახევარსაუკუნოვანი წყვეტისა, შეძლო, მაქსიმალურად შეენარჩუნებინა კათოლიკური ტრადიციები, მრევლის თვითორგანიზებულობამ, რაც კათოლიკეების დამახასიათებელი თვისება აღ-



მოჩნდა, გადაარჩინა ქრისტიანული რწმენაც, კონფესიური იდენტობაც, და როდესაც 80-იან წლებში მამა იოსებ კორნაშევსკი შეუდგა მესხეთში მსახურებას, მას ადგილზე ჩამოყალიბებული სამრევლოები და გარემონტებული საეკლესიო ნაგებობები დახვდა, რამაც გაუადვილა სამოძღვრო მსახურება. 1989 წლის სექტემბრიდან კი ამოქმედდნენ სოფელ ვაღეს, არლის, ხიზაბავრის ტაძრები და შემდგომ დანარჩენი საკრებულოებიც. **ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ, მიუხედავად სხვადასხვა წინააღმდეგობისა, კათოლიკე ეკლესია და კათოლიკობა საქართველოსთვის ორგანული ნაწილია და ასე იქნება უკუნიითი უკუნისამდე.**

ისტორიული, სამოქალაქო და რელიგიური პერიპეტები მიგვანიშნებს იმაზე, რომ ლათინური წესის კათოლიკე ეკლესიას „არასდროს მიაჩნდა ხელოვნების რომელიმე სტილი თავის საკუთარ სტილად. (...) მან საუკუნეთა მანძილზე შექმნა ხელოვნების საგანძური“ (Sacrosanctum Concilium, n.123). კრების შემდგომ, არაერთი პაპის მხარდაჭერით, უწინარესად კი - პავლე VI-ისა, არქიტექტორები, ეკლესიის/შემკვეთის თხოვნით, ცდილობდნენ ლიტურგიკული სივრცის გამოსატანად ახალი გზების ძიებას: ამჟამინდელ ეკლესიებს ჯერ კიდევ შეიძლება ვუწოდოთ „საპილოტო პროექტები“, რადგან თავისთავად ეკლესიამ, როგორც ჩანს, ვერ მიაგნო თავის სტილს თანამედროვეობაში: ვატიკანის II კრების მითითებებში, არსებითად, ნათქვამია: „ჩვენი დროისა და ყველა ხალხისა თუ რეგიონის ხელოვნება თავისუფლად უნდა ვითარდებოდეს“ (SC 123). ყურადღება განსაკუთრებით გამახვილებულია გამოსატანად თავისუფლებასა და ინკულტურაციაზე, თუმცა არ უნდა დავავინყდეს ტექსტის შემდგომი განცხადება: „**ოღონდ, წმინდა შენობა-ნაგებობებისა და წმინდა რიტუალების საჭიროებების სათანადო პატივისცემითა და საკადრისი დაფასებით**“. ამგვარად, აიგო ახალი ეკლესიებიც, რომლებშიც, მორწმუნეებისა და ექსპერტების აზრით,... ზოგჯერ **რთულია წირვის აღვლენა**. ამ ახალი წლის განმავლობაში გვსურს, საგანგებო ჩანართში ყოველთვიურად წარმოგიდგინოთ ეკლესიები, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში აიგო კათოლიკურ საკრებულოთა ცხოვრებისა და დღესასწაულებისათვის, რათა უკეთ გავიგოთ ის ენა, რომელიც დაგვეხმარება ღმერთთან და თანამედროვე ეპოქასთან დიალოგში. ამჯერად გვსურს წარმოგიდგინოთ:

ჩირჩარდ ბეიერის დიდი საიუბილეო ეკლესია (2000): აფრიანი ბემი ახალი ათასწლეულის შესახვედრად



თქვენ შეიძლება არ იცოდეთ, მაგრამ რომი არის ქალაქი, სადაც ყველაზე მეტი ეკლესიაა მსოფლიოში. დიდი თუ მცირე ეკლესია, სულ 900-ზე მეტი, არქიტექტურის ნამდვილ კატალოგს წარმოადგენს. ეს უნიკალური სიმდიდრე, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში ბევრი რამ შეეძლო ეთქვა ღვთის საიდუმლოზე, მორწმუნეებს ერთ ეკლესიად კრებდა. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ეკლესიების მონახულება ტურისტების ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მიზანია. მაგრამ რომელს ესტუმრონ? სანტა პუდენციანას თუ სან პრისკას, ერთმენეთს რომ ეცილებიან რომის უძველესი ეკლესიების (მეორე საუკუნის შუახანები) ტიტულს, რადგან ისინი დაკავშირებულნი არიან პირველქრისტიანებთან და პეტრეს ფიგურასთან? თუ კატაკომბების სამლოცველოებს, პირველი ათასწლეულის, შუა საუკუნეების, რენესანსის, ბაროკოს ეპოქის ეკლესიებს? რომელს?

ასეთ ფართო არჩევანში ალბათ იოლად შევჩერდებით ქალაქის ისტორიულ ცენტრში მდებარე ყველაზე ცნობილ ეკლესიებზე, მაგრამ საკმარისი იქნება გარეუბანში გადანაცვლება, რომ თანაბრად საინტერესო თანამედროვე რელიგიური ნაგებობები გვინახა. მაგალითად, ე.წ. *საიუბილეო ეკლესია*, მიძღვნილი გულმონყალე მამა ღმერთისადმი (გამომდინარე იოანე პავლე მეორის 1980 წლის ენციკლიკიდან *Dives in Misericordia*). ყველაფერი დაიწყო 90-იან წლებში, როდესაც რომის ეპარქიამ გადანყვიტა, 2000 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გამოცხადებინა საერთაშორისო კონკურსი ახალი ეკლესიების ასაშენებლად, საუბარი იყო 50 ეკლესიაზე, რომლებიც სწორედ ქალაქის პერიფერიაში უნდა აგებულიყო. ამ პროექტის განსახორციელებლად შერჩეულ იქნა ტერიტორია ქალაქის გარეუბანში, ჯერ კიდევ განვითარების პროცესში მყოფ ტორ

ტრე ტესტე-ს (Tor Tre Teste) რაიონში. ამ ეკლესიის მშენებლობის ტენდერში გაიმარჯვა ამერიკელმა არქიტექტორმა რიჩარდ მიეერმა (დაბ. 1934 წ.), მანვე დააპროექტა მუზეუმი *Ara Pacis*, ასევე რამდენიმე მნიშვნელოვანი შენობა ამერიკაში, ევროპასა და აზიაში. გამარჯვება არ იყო ადვილი, თუ გავითვალისწინებთ, რომ მასში მონაწილეობდნენ ისეთი მასშტაბის არქიტექტორები, როგორებიც არიან ტადაო ანდო, გიუნტერ ბენიში, სანტიაგო კალატრავა, პეტერ ეიზენმანი და ფრენკ გერი.

სამუშაოები დაახლოებით ხუთ წელიწადს გაგრძელდა, 1998 წლის მარტში პირველი ქვის ჩადებიდან მის გახსნამდე 2003 წლის 26 ოქტომბერს, კარდინალ კამილო რუინის კურთხევით, რომის მერის, არქიტექტორისა და სხვა პირების თანდასწრებით.

ფორმები და სივრცეები

ეკლესიის პროექტი საინტერესო სტრუქტურას გვთავაზობს, რამდენადაც აერთიანებს საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სივრცეს, ლიტურგიკულს და სხვა საქმიანობებს (მღვდელთა რეზიდენცია, კატექეზები, შეხვედრები...), რომელიც სხვადასხვა ფორმით გამოირჩევა. ფაქტობრივად, ლიტურგიკული სივრცე, რომელიც მარცხნივ მდებარეობს, დაყოფილია **სამი თეთრი ნიჟართი**. შენობის ცენტრში დიდი ვერტიკალური კედელი ღვთისმსახურებისთვის განკუთვნილ დარბაზს გამოყოფს სამრევლო საქმიანობებისთვის განკუთვნილი სივრ-

ცეებისგან, ამ უკანასკნელთ ჩალრმავებული და კვადრატული ფორმა აქვთ. ეკლესიის შორიდან დანახვისას, თვალს აოცებს სიდიადე იალქნებისა (ყველაზე დიდი 26 მეტრის სიმაღლისაა), რომლის აგებაც ნამდვილ გამონგვევას წარმოადგენდა. სამი აფრა, საინჟინრო და არქიტექტურული თვალსაზრისით, სრულიად ინოვაციურ კონსტრუქციას წარმოადგენს. ეს არის თვითმდგრადი კონსტრუქცია, ფოლადის ბაგარების ქსელის წყალობით, რომელიც აკავშირებს მათ შემადგენელ 256 პანელს, თითოეული ინონის 12 ტონას. ვერც ერთი



ამნე ვერ შეძლებდა მათ დაყენებას: საჭირო იყო 38 მეტრის სიმაღლის სპეციალური მანქანის აგება, რომლის მეშვეობითაც პანელები იოლად ასწიეს და სრულიად უსაფრთხოდ აამუშავეს. მიუხედავად იმისა, რომ „თანამედროვე“ ეკლესიაა, გარკვეულწილად, ის ბაძავს კათოლიკური რელიგიური ნაგებობის კლასიკურ სახეს, კერძოდ, „გოთურს“, თავისი სიმაღლითა და ზედა ნაწილის დახვეწილი ფასადით, გვერდით სამრევლოთი.

კვადრატული და წრიული: ადამიანური და ღვთაებრივი

შიგნით შესული, აღმოაჩენთ, რომ, მიუხედავად ფასადის მომრგვალებული ფორმებისა, შიდა სივრცეები საკმაოდ კვადრატულია. ამ სიმბოლიზმს ხშირად იყენებენ არქიტექტორები საკულტო ნაგებობებში: წრიული ნაწილები, რომლებიც განასახიერებენ ღვთაებრივს, ერთმანეთს უკავშირდება კვადრატული ფორმებით, სადაც კვადრატი მიგვანიშნებს ადამიანურ განზომილებაზე. ამ შემთხვევაში, წრე მოიცავს ეკლესიას, ხოლო კვადრატი - სამრევლო გარემოს. ამ

ნასახიერებს ნავის იდეას. ხუროთმოძღვრის პირველი ჩანაფიქრით, ამ ეკლესიას, უძველესი ტრადიციის მიხედვით, უნდა წარმოედგინა „ღვთის ხალხი“, „ეკლესიის ნავი“, ზღვის ტალღებს რომ მიაპობს, რომელსაც მიუძღვის „პეტრე“, პაპი. უნდა ითქვას, რომ იალქნები პროექტში წარმოდგენილი იყო როგორც მინაში ჩარჩენილი სამი ნიჟარა, რომლებიც შემდეგ ხალხმა იალქნებად აღიქვა, ისინი ისე არიან განლაგებული, რომ ეკლესიას გადაჰყურებენ, ამით მფარველობის განცდას უქმნიან მათ, ვინც ნავისებურ სივრცეში ჩერდება:

მამა ლმერთი, ძე და სულიწმიდა მფარველობს ქრისტიანულ საკრებულოს. ღამის გარე განათებაც კი კომპლექსურ მოცულობაში ზუსტად გამოკვეთს ქარისგან გაშლილი აფრების ეფექტს.

ამ შენობას ორი ძირითადი თავისებურება ახასიათებს. პირველი - თეთრი ფერის სიჭარბე; ეს მეიერის ყველაზე საყვარელი და ულამაზესი ფერია, რადგან „მის შიგნით ცისარტყელას ყველა ფერის დანახვაა შესაძლებელი. თეთრი თავისთავად ვერა-

სოდეს იქნება მხოლოდ თეთრი; ის ყოველთვის გარდაისახება თუნდაც სინათლით და იმით, რაც იცვლება; ცა, ღრუბლები, მზე, მთვარე“. სიქათქათე შენარჩუნებულია ბეტონის განსაკუთრებული ხარისხის წყალობით, თვითგანწმედის არაჩვეულებრივი უნარით, ფოტოკატალიზის ეფექტის წყალობით, ე. წ. კვამლის მჭამელი ცემენტით, რომლის დროსაც ორგანული და არაორგანული დამაბინძურებლები, რომელთანაც კონტაქტში შედიან,

ნახშირორჟანგად გარდაიქმნება.

ამ ეკლესიის კიდევ ერთი თავისებურება მდგომარეობს არქიტექტორის მიერ გულდასმით შესწავლილ სინათლეში: ტაძრის შიგნით სინათლე აღწევს განიერი ფანჯრებიდან, რომლებიც იხსნება როგორც ფასადზე, ისე თაღზე, ნიჟარებსა ან იალქნებს შორის სივრცეში; იგი სინათლეს უშვებს ზემოდან, ასევე შესასვლელისა და პრესვიტერიუმის მხრიდან: დღის ორ მონაკვეთში, მზის ამოსვლისას და ჩასვლისას, როდესაც მზე, რომლის სხივებიც შეაღწევს ეკლესიაში, სიცოცხლეს სძენს კონკრეტულ ადგილებს და ქმნის ეფექტს საათის, ამინდისა და წელიწადის დროის მიხედვით.

მზის სინათლე არასდროს შედის ეკლესიაში პირდაპირ, გარდა ზაფხულის შუადღით, როდესაც პატარა სარკმლიდან შემოსული შუქი პირდაპირ ანათებს საკურთხევის ზემოთ მოთავსებულ ჯვარს. ეს უკანასკნელი მოხატულია პაპიემამში და თარიღდება მე-18 საუკუნით.

ამ მოკლე პრეზენტაციიდან შეიძლება ვინმემ შენიშნოს, რომ ყველაფერი სწორად არ იყო გადწყვეტილი, მაგალითად, თეთრისა და სინათლის შემოჭრა, ფერის, გრძნობებისა და გამოსახულებების ხარჯზე, თითქოს ის პრაქტიკულად უსარგებლო პროდუქტი იყო. მიუხედავად ამისა, ლიტურგიულ ლოცვაში მონაწილეობისას, მთელი ამ სივრცის წყალობით, ადამიანს ექმნება განცდა, რომ პირდაპირ ღია სივრცეში, უშუალოდ ლმერთის თანდასწრებით, მონაწილეობს ნირვაში და მუდამ მისი მამობრივი და მონყალე მფარველობის ქვეშ იმყოფება. ამ სივრცეში ვლინდება ქრისტიანული ლიტურგიის არსებითი ელემენტები (საკრებულო დარბაზი, საკურთხეველი, ამბიონი, ნირვის აღმსრულებლის ადგილი), ასევე ისიც, თუ როგორ უნდა იყოს ლიტურგია მომზადებული, მხარდაჭერილი და ცხოვრებაში დამოწმებული.



ეკლესიას მრავალფეროვანი მახასიათებლები აქვს. ხშირად განიხილება მხოლოდ ტექნიკური მახასიათებლები, რადგან ის, მართლაც საინჟინრო შედეგია, და ასევე არქიტექტურული, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი სულიერი და ლიტურგიკული ხასიათიც.

სიმბოლოები

ეკლესია ჰგავს გემს, რომლისთვისაც სამი თეთრი იალქანი გაუშლია ქარს; შიდა სივრცეც გა-



საკურთხეველი

საკურთხეველი ფორმით ნავის მსგავსია და მდებარეობს დასავლეთით, იმისგან განსხვავებით, რასაც ზოგადად პრესვიტერიუმის სტრუქტურა ითვალისწინებს (ან ითვალისწინებდა). რადგან ქრისტიანულ სიმბოლიკაში მზე ყოველთვის აღნიშნავდა იესოს, „ნუთისოფლის ნათელს“ და საკურთხეველის აღმოსავლეთით განთავსებით, ავტორს სურდა ხაზი გაესვა ადგილისთვის, სადაც იესო მოდის (ამოდის) ევქარისტის დღესასწაულისას, ზუსტად ისე, როგორც აღმოსავლეთიდან ამოდის მზე. ამ ეკლესიაში აღმოსავლეთით არის ნავისებური ფასადი, ნავისებური რკალი, ასე ვთქვათ, წინა მხარე, ხოლო საკურთხეველი განთავსებულია „წვერში“, სადაც, ჩვეულებრივ, მდებარეობს გემის ძრავა. ევქარისტია არის ძრავა, რომელიც ამოძრავებს ეკლესიის ნავს. საკურთხეველის შიგნით ინახება წმიდანების, პაპებისა და კათოლიკე ეკლესიის ნეტართა ნაწილები. საკურთხეველის წინა მხარეს

წარმოდგენილია მთლიანად ხელით მოჩუქურთმებული ბარელიეფის რეპროდუქცია, რომელსაც შეხვედებით ვატიკანის პაპის რეზიდენციაში. ეს მარმარილოს ბარელიეფი არის უძველესი ქანდაკების ფრაგმენტი ვატიკანის გროტებიდან (საძვალეებიდან), იგი ასახავს მარადიულ მაკურთხებელ მამას, ორი ანგელოზის თავით გარშემორტყმულს. აქვეა გოთურ სტილში შესრულებული ქანდაკება ღვთისმშობელი ყრმით, რომელიც მიეკუთვნება დაახლოებით 1310-1330 წლებს.

Via Crucis - ჯვრის გზა

2014 წლის დიდმარხვის პირველ პარასკევს დამონტაჟდა პირველი ექსპერიმენტული პროექტი Via Crucis. იმისთვის, რომ კონტრასტი არ შეექმნა არქიტექტურულ ნამუშევართან, იგი მოამზადეს საეკლესიო ნაგებობის ფორმის ტრავერტინის ფურცლებზე, რომლებზედაც გამოსახული იყო Via Crucis-ის სიუჟეტები, მათ შორის, აღდგომა, ნიფლისფერი ფიგურების მარტივი კონტურებით, ხოლო მოოქროვილი ზოლი იდეალურად აკავშირებს ყველა შეჩერებას ტაბერნაკულუმთან.

ორგანი

რომაული ორგანი - opus 7, შექმნილი 2003 წელს, შედგება Viscount Vivace 90 ელექტრონული კონსოლისაგან, სანიმუშო რეგისტრით; მიღების კორპუსისგან, რომელსაც ის მართავს, რომელიც საეკლესიო გუნდის ზემოთ არის განლაგებული კონტრაფასადზე, კორპუსის გარეშე


და ძირითადი მიღებისაგან შემდგარი მონოპილობა. ცხრა რეალური რეგისტრი გადანაწილებულია ელექტრონული კონსოლის მეორე და მესამე კლავიატურაზე.

ექსტერიერი

ეკლესიას დიდი მოკირწყლული ეზო აკრავს გარს: არქიტექტორის გეგმით, ის თავისუფლად მისადგომი და ღია უნდა ყოფილიყო მიმდებარედ მცხოვრებთათვის, რითაც უნდოდა მიენიშნებინა, თუ როგორ შეძლებდა მისი მრევლი ამავე ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულებას. თუმცა, დამკვეთის დავალებით, უსაფრთხოების მიზნით, ფართი შემოღობილია და შესვლა შესაძლებელია ჭიშკრით. ეკლესიის შესასვლელიდან მარჯვნივ დგას სამრეკლო ხუთი ზარით, რომელიც ეძღვნება სხვადასხვა წმიდანებს, ხუთ კონტინენტს და საკრებულოს სხვადასხვა ამბებს. ეკლესიას ასევე აქვს საფეხბურთო მცირე მინდორი და კალათბურთის მოედანი. ეს უკანასკნელი მოეწყო შემოწირულობის წყალობით, რომელიც გაიღო გულუხვმა წყვილმა; მათ ითხოვეს, ფულის სახით მიღებული საქორწინო საჩუქარი მშენებლობას მოხმარებოდა. როდესაც არქიტექტორმა შეიკრმა იოანე პავლე II-ს ეკლესიის პროექტი წარუდგინა, პაპმა მას უთხრა: „თეთრი იალქნები ახალ სამყაროში შეგვიყვანს“. ეს ეკლესიის მართლაც რომ დიდებული განსაზღვრებაა, იმ ეკლესიისა, რომელიც უნდა ყოფილიყო იუბილისა და ახალი ათასწლეულის სიმბოლო. თეთრი ეკლესია თავისი რბილი, ტალღოვანი ფორმებით, ქარში გაშლილი იალქნებით, ჩვენი ეკლესიისთვისაც ერთგვარ სურვილს უნდა აძლრავდეს, რომ ამ ახალი წლის დასაწყისში უშიშრად გავიდეთ ღია ზღვაში.

ფეისბუქზე შეგიძლიათ იხილოთ საკრებულოს გვერდი: გულმონყალე მამა ღმერთის ეკლესია (Chiesa Dio Padre Misericordioso)

ქრისტიანთა ერთიანობისათვის ლოცვის კვირეული - 2022 წლის 18-25 იანვარი




„ვინაიდან ვიხილეთ მისი ვარსკვლავი აღმოსავლეთში და მოვედით, რათა თაყვანი ვცეთ მას“ - ეს ფრაზა მათეს სახარებიდან (2, 1-12) ქრისტიანთა ერთიანობისთვის ლოცვის კვირეულის თემად იქცა. კვირეული, ტრადიციულად, ჩატარდება 2022 წლის 18-დან 25 იანვრამდე. ტექსტებში, რომელიც მომზადებულია ახლო აღმოსავლეთის ეკლესიათა საბჭოს მიერ (Mecc, შტაბ-ბინა, მდებარეობს ლიბანში), ქრისტიანთა ერთიანობის ხელშემწყობი პაპის საბჭოსთან და ეკლესიათა საბჭოსთან (KEK) თანამშრომლობით, შემდეგს ვკითხულობთ:

„არასდროს, როგორც ამ რთულ ჟამს, არ გვიგრძენია საჭიროება იმ ნათლისა, რომელიც სიბნელეზე იმარჯვებს და ეს ნათელი, როგორც ქრისტიანები აცხადებენ, იესო ქრისტეში გამოვლინდა. საერთაშორისო ჯანდაცვის ამჟამინდელი კრიზისის წინაშე, მსოფლიოს იმ რეგიონში, სადაც ადამიანის უფლებები სისტემატურად ირღვევა უსამართლო პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებით და სადაც დღემდე ითვლიან ადამიანურ და მატერიალურ დანაკარგს, შედეგად საშინელი აფეთქებისა, რომელმაც 2020 წლის 4 აგვისტოს ბეირუთი

გაანადგურა, გაძლიერდა ძალისხმევა, რათა წარმოადგინონ ონლაინ პლატფორმით ჩატარებული სამუშაო სესიების შედეგი“. ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანებმა „ვარსკვლავში“ დაინახეს ქრისტიანული მოწოდების სიმბოლო, „ვარსკვლავი იყო ნიშანი, რომელმაც მოგვები შორეული ადგილებიდან და სხვადასხვა კულტურებიდან მიიყვანა ყრმა იესომდე და წარმოადგენს იმ სურათს, თუ როგორ ერთიანდებიან ქრისტიანები, როდესაც ქრისტეს უახლოვდებიან“, და რომელსაც ყველა ხალხი მიჰყავს ქრისტემდე, რომლის წყალობით ღმერთი ყველა ერს ერთიანობისკენ მიუძღვის.

„ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანები ერთიანობის ლოცვის კვირეულის ამ მასალას გვთავაზობენ იმ შეგნებით, რომ მსოფლიოში მრავალი ერი იზიარებს მათ მიერ განცდილ უბედურებასა და სირთულეს, და ისწრაფვის იმ ნათლისკენ, რომელსაც ძალუძს გააფანტოს სიბნელე მაცხოვრისაკენ მიმავალ გზაზე“. ავტორები დასძენენ, რომ Covid-19 პანდემიის „თანმდევემა ეკონომიკურმა კრიზისმა და პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურების მარცხმა, რომლებსაც უნდა დაეცვა უმწეო და დაუცველი ადამიანები, გამოკვეთეს ღრმა სურვილი გლობალურ დონეზე, რომ სიბნელეში გაიბრწყინოს ნათელმა“ და აღნიშნეს, რომ ვარსკვლავი, რომელიც აღმოსავლეთში ორი ათასი წლის წინ ამონათდა, „კვლავაც გვიხმობს ბაგაში, სადაც ქრისტე იშვა“, გვიზიდავს იქ, სადაც ღვთის სული ცოცხალი და აქტიურია“ და მოგვინოვებს გულის მოსაქცევად. კათოლიკე მორწმუნეები სახარების ამ ეპიზოდს მეტი მხურვალეობით მოვისმენთ 6 იანვარს, ეპიფანიის - უფლის ნათლისღების დღესასწაულზე, მართლმადიდებლები კი 7 იანვარს; დაე, ეს იყოს მოწვევა საქართველოს ეკლესიებისთვის, ერთად ეძიონ თანამშრომლობის ისეთი გზები, რათა, განსაკუთრებით ახალმა თაობებმა, შეძლონ მეტი ინტერესის გამოჩენა ცხოვრების, მშვიდობის, სამართლიანობისა და ქველმოქმედების მიმართ.

ეკუმენური ლოცვა გაიმართება 21 იანვარს, 16.00 სთ-ზე, სომხურ სამოციქულო ეკლესიაში, სურბ გევორქის საკათედრო ტაძარში.



ქალიან ცნობილი ექიმი

დოქტორი მარკი ცნობილი სპეციალისტი იყო ონკოლოგიის დარგში. ერთ დღეს იგი გაემგზავრა სხვა ქალაქში, რათა მონაწილეობა მიეღო მეტად მნიშვნელოვან კონფერენციაში, სადაც უნდა დაეჯილდოებინათ პრემიით სამედიცინო კვლევების დარგში. იგი ქალიან ლელავდა, რადგან ამ კონფერენციაზე უნდა შეეფასებინათ მისი მრავალწლიანი შრომა.

მოულოდნელად, თვითმფრინავის აფრენიდან ორი საათის შემდეგ, ტექნიკური გაუმართაობის გამო, მოხდა ავარიული დაშვება უახლოეს აეროპორტში. დოქტორს ეშინოდა, რომ არ დაგვიანებოდა, ამიტომ მანქანა იქირავა და თავად გაემგზავრა ქალაქში, სადაც კონფერენცია უნდა გამართულიყო. მაგრამ მალევე, როგორც კი გზას გაუდგა, ამინდი გაფუჭდა და ქარიშხალი ამოვარდა. ძლიერი წვიმის გამო ექიმი არასანორი მიმართულებით წავიდა და გზა აებნა.

ორსაათიანი უშედეგო სვლის შემდეგ იგი მიხვდა, რომ დაიკარგა. მან შიშობილი და საშინელი დაღლილობა იგრძნო, ამიტომ გადაწყვიტა მოექცებნა სადმე თავშესაფარი. ბოლოს, რამდენიმე ხნის შემდეგ, ის ნაანყდა პატარა, ძველისძველ სახლს. სასონარკვეთილი გადმოვიდა მანქანიდან და კარზე დააკაკუნა.



კარი ლამაზმა ქალმა გაუღო. ექიმმა მას ყველაფერი აუხსნა და სთხოვა, ტელეფონით ესარგებლა. ქალმა უპასუხა, რომ ტელეფონი არ ჰქონდა, მაგრამ შინ შესვლა შესთავაზა, რათა ამინდის გაუმჯობესებას დალოდებოდა.

მშვიერი, სველი და დაღლილი ექიმი ქალის შეთავაზებას დათანხმდა და სახლში შევიდა. მანდილოსანი მას ცხელი ჩაითა და საჭმლით გაუმასპინძლდა. შემდეგ სთხოვა, ერთად ელოცათ. მაგრამ დოქტორმა მარკმა ქალს ღიმილით უპა-

სუხა, რომ მას მხოლოდ შრომისმოყვარეობის სწამდა. მისმა ყველა თანამშრომელმა იცოდა, რომ დოქტორი თავს ათეისტად მიიჩნევდა და ღვთის არსებობას არ აღიარებდა.

ექიმი მაგიდასთან იჯდა, ჩაის მიირთმევდა და სანთლის მკრთალ შუქზე აკვირდებოდა ქალს, ბავშვის სანთლის გვერდით რომ ლოცულობდა მშვიდად. მარკი მიხვდა, რომ მას დახმარება სჭირდებოდა და როცა ქალმა ლოცვა დაასრულა, ჰკითხა:

– მაინც რას ითხოვთ ღვთისაგან? ნუთუ გგონიათ, რომ ღმერთი ოდესმე შეისმენს თქვენს ვედრებას?

შემდეგ დაინტერესდა, ვინ იყო პატარა ბავშვი, რომლის სანთლთანაც ის ლოცულობდა. ქალს სევდიანად გაეღიმა და უპასუხა:

– სანთლში რომ წევს ბავშვი, ჩემი ვაჟია, რომელიც იტანჯება იშვიათი სახის კიბოთი; მისი განკურნება კი შეუძლია მხოლოდ ერთ ექიმს, სახელად მარკს, მაგრამ მე არ მაქვს ფული, მას რომ გადავუხადო, გარდა ამისა, დოქტორი მარკი სხვა ქალაქში ცხოვრობს. მართალია, ღმერთმა აქამდე არ შეისმინა ჩემი ლოცვები, მაგრამ ვიცი, რომ ის დამეხმარება... და ვერაფერი შეარყევს ჩემს რწმენას.

გაოგნებული და დამუნჯებული დოქტორი მარკი ატირდა, მერე კი ჩუმად წარმოთქვა:

– დიადია ღმერთი...

მას გაახსენდა ყველაფერი, რაც იმ დღეს შეემთხვა: თვითმფრინავის გაუმართაობა, თავსხმა წვიმა, რის გამოც ის გზას ასცდა; და ეს ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ ღმერთმა არა უბრალოდ შეისმინა ქალის ლოცვა, არამედ თავად მას, როგორც ექიმს, მისცა შესაძლებლობა, დახმარებოდა ღარიბ და უბედურ ადამიანებს, რომელთაც ლოცვის გარდა არაფერი გააჩნდათ. ამ შემთხვევის შემდეგ, დღემდე, ექიმი, ჰოსპისში მისვლისთანავე, ლოცვით გამოითხოვს ღვთისაგან ბავშვთა განკურნების მადლს!

ეს ამბავი არცთუ ისე დიდი ხნის წინ, მეოცე საუკუნის 80-იან წლებში მოხდა.

ნუ განიცდით, თუ რაიმე ისე არ სრულდება, როგორც თქვენ დაგეგმეთ. გააკეთეთ ყველაფერი, რაც შეგიძლიათ, დასახული მიზნის მისაღწევად და იყავით გულისხმიერი ღვთაებრივი განგებულების მიმართ, მიეცით ღმერთს შესაძლებლობა, გიჩვენოთ შემდგომი გზა.



გერმანული საშობაო ნამცხვარი შტოლენი

შობა გერმანელებისთვის ნელინადის ყველაზე დიდი დღესასწაულია, რასაც მონობს გერმანული ანდაზა: „არ არსებობს შობაზე დიდი დღესასწაული, არ არსებობს ბუდე, არნივის ბუდეზე უფრო მაღალი“. ღამის საშობაო ლიტურგიამდე, ბიურგერები საგულდაგულოდ ალაგებენ სახლს, რთავენ ნაძვის ხეს, აცხობენ გემრიელ ფუნთუშებს.

გერმანული საშობაო შტოლენის (Stollen - კექსი, ერთგვარი ტკბილი ნამცხვარი) გარეშე კი წარმოუდგენელია ქრისტეს შობის დღესასწაული გერმანიაში. დღესასწაულის წინაღვლეს მაღაზიის თაროები ველარ იტევს ნაირფერად შეფუთულ ამ კექსებს. მაგრამ ტრადიციის მიმდევარი დიასახლისები, რა თქმა უნდა, თავად აცხობენ შტოლენს, ხშირად საოჯახო რეცეპტით, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა. სხვათა შორის, ეს წარმოუდგენლად სურნელოვანი და გემრიელი ნამცხვარი შობამდე რამდენიმე კვირით ადრე მზადდება: ის შესანიშნავად ინახება (შემადგენლობა - რომი, რომელიც ბუნებრივი კონსერვანტია) და დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გემრიელი ხდება.

მიიჩნევა, რომ შტოლენის მოგრძო ფორმა და შაქრის პუდრით დაფარული თოვლივით თეთრი ზედაპირი სიმბოლურად განასახიერებს სახვეწებში გახვეულ ახალშობილ ჩვილ იესოს.

შტოლენის სამშობლოა დრეზდენი, სადაც მას საშობაოდ აცხობენ 1474 წლიდან. ქალაქში მხოლოდ 150 ფურნეს აქვს დრეზდენის შტოლენის გამოცხო-

ბის უფლება. შტოლენის მომზადება ხანგრძლივი და რთული პროცედურაა, მზა ნამცხვარი ორი კვირის განმავლობაში უნდა გაიჟლინოს ყველა არომატით, რაც დაუმატეს. თავდაპირველად კექსს აცხობდნენ ადვენტის დადგომისას, როცა მარხვა იწყებოდა და დღესასწაულისთვის ემზადებოდნენ, რეცეპტიც სამარხვო იყო - მხოლოდ ფქვილი, მარილი, საფუარი და მცენარეული ზეთი. სანელებლები იმ დროს მიუწვდომელი ფუფუნება იყო. ამიტომაც პირველი შტოლენის გემო ძალიან განსხვავდება იმ ტკბილი შედეგისგან, რომლის გასინჯვაც დღეს შეგვიძლია.

ყველაზე ხშირად შტოლენს აცხობენ სანელე-ბლითა და ხმელი ხილით გაჯერებული საფუჯრის ცომისაგან. ასევე პოპულარულია ხაჭოს შტოლენი, მას აცხობენ საფუჯრის დამატების გარეშე. შავი მოცხარის ჩირი, დაშაქრული ლიმონისა და ფორთოხლის კანი, თხილი და ქიშმიში, შეზავებული კარდამონით (ილი), დარიჩინი, მიხაკი და ჯავზი (მუსკატის კაკალი) შტოლენს აძლევს საშობაო ნამცხვრისთვის დამახასიათებელ არომატსა და გემოს. გამოცხობამდე კი გამხმარ ხილს რომში ან კონიაკში ასველებენ.

ავსტრიაში შტოლენს ხშირად უმატებენ ალუბლის, გარგრისა და ანანასის ჩირს.

სხვა საშობაო ნამცხვრის მსგავსად, შტოლენი შესანიშნავად ინახება, კარგად იყინება და ადვილია მისი გადაზიდვა.

შვიდასი წლისთავი დანტე ალიგიერის დაბადებიდან



ცხოვრება

ა) პირველი ბიოგრაფიული მონაცემები

დანტე ალიგიერი, იგივე ალიგიერო, ნათლობით „Durante de Alighiero degli Alighieri“ (დურანტე დე ალიგიერო დელი ალიგიერი), დაიბადა ფლორენციაში (იტალია, ტოსკანის რეგიონი) 1265 წლის 21 მაისსა და 21 ივნისს შორის.

დანტე 1266 წლის 27 მარტს მოინათლა (ეს პირველი დაზუსტებული თარიღია), დიდ შაბათს, და სახელად „დურანტე“ დაარქვეს, შემდეგ მოხდა მისი სინკოპირება (სიტყვის შემოკლება) **დანტედ** (ამგვარ ცვლილებას მეცნიერულად უწოდებენ „ჰიპოქორიზმს“), ხოლო კეთილშობილური გვარი **დე ალაგერის** (de Alagheriis) მოგვიანებით შეიცვალა **ალიგიერად**, ფლორენციელი მწერლისა და პოეტის ჯოვანი ბოკაჩოს (+21.12.12) 1373) გადმოცემით.

დანტე ალიგიერი ამტკიცებს, რომ მისი ოჯახი, ალიგიერები, ძველი რომაელებიდან მოდიან, ყველაზე შორეული წინაპარი, ვისაც იგი ახსენებს, არის დიდი ბაბუა, ფლორენციელი კაჩაგვიდა დელი ელისეი, რომელიც დაახლოებით 1100-იან წლებში ცხოვრობდა და მეორე ჯვაროსნული ლაშქრობის რაინდი იყო იმპერატორ კონრად III-ის დროს. სინამდვილეში, ალიგიერების ოჯახმა ეს სახელი კაჩაგვიდას მეუღლისგან მიიღო. აქვე გაგაცნობთ დანტეს ახლო ნათესავებს: ბელინჩონე (Bellincione - ბაბუა მამის მხრიდან), ალიგიერო დი ბელინჩონე (Alighiero di Bellincione - მამა); ბელა დელი აბატი (Bella degli Abati - დედა, რომელიც გარდაიცვალა, როდესაც დანტე ხუთი-ექვსი წლისა იქნებოდა, ამიტომაც არსად ახსენებს მისი პოეტი ვაჟი მას,

სამაგიეროდ, ახსოვს ლაპა (Lapa), ვისთანაც მამამისმა იქორწინა და შეეძინათ ფრანჩესკო და ტანა (გაეტანა) ალიგიერები და, შესაძლოა, კიდევ ერთი ქალიშვილი (ვისაც მოიხსენებს ბოკაჩო).

დანტეს უყვარდა ბეატრიჩე იგივე ბიჩე (Bice), ფლორენციელი ფოლკო პორტინარის ქალიშვილი, მასზე ერთი წლით უმცროსი, რომელიც მან ოჯახურ დღესასწაულზე გაიცნო 1274 წელს (ბიჩე დაქორწინდა სიმონ დე ბარდიზე). იგი ახალგაზრდა გარდაიცვალა 1290 წელს. დანტემ მას მიუძღვნა სონეტები, ბალადები და გალობები, შესაძლოა, პროზაული ნაშრომიც, სახელწოდებით „Vita Nuova“, იტალიური ეულგარული ლიტერატურის პირველი პროზაული ნაწარმოები.

დაახლოებით 1295 წელს მან ცოლად შეირთო ჯემა დეი დონატი, მანეტო დონატის ქალიშვილი (ქორწინება ადრევე იყო შეთანხმებული, 1277 წელს, როდესაც დანტე თორმეტი წლისა იყო). მისგან დანტეს რამდენიმე შვილი ჰყავდა: პიეტრო და იაკობი, თავადაც მწერლები და მამის ძირითადი ნაშრომების კომენტატორები, და ბეატრიჩე, მონაზონი რავენაში (და ბეატრიჩეს სახელით ცნობილი), დაუდგენელია მეოთხე ვაჟის, ჯოვანის არსებობა. უნდა აღინიშნოს, რომ პიეტრო ვერონაში მოსამართლე გახდა და ერთადერთი იყო, ვინც გააგრძელა ალიგიერების შტო, რადგან იაკობმა სასულიერო კარიერა არჩია.

დანტესა და მისი მეუღლის ქორწინება არც მთლად ბედნიერი უნდა ყოფილიყო, როგორც გვაუწყებს ბოკაჩო და ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ დანტეს მისთვის არც ერთი ლექსი არ მიუძღვნია.

ბ) განათლება

* ტრადიციული

დანტეს განათლების შესახებ ბევრი რამ არ არის ცნობილი. დიდი ალბათობით, იგი იმ ეპოქისათვის დამახასიათებელ განათლებას ეზიარა: 1) კურსი გრამატიკოსთან (doctor puerorum) ლინგვისტური საფუძვლების შესასწავლად; 2) შემდეგ ლიბერალური ხელოვნების საგნები, რაც შუა საუკუნეების განათლების საყრდენს წარმოადგენდა: არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა და ასტრონომია (quadrivio - ოთხეული); დიალექტიკა, გრამატიკა და რიტორიკა (trivium - სამეული). როგორც დანტეს Convivio-დან შეგვიძლია დავასკვნათ, მისი ფორმაცია ლათინურ ენაზე ხდებოდა და ეფუძნებოდა, ერთი მხრივ, ციკერონისა და ვერგილიუსის ნაშრომებს, მეორე

მხრივ კი - შუა საუკუნეების ლათინურს (კერძოდ, arrigo da Settinello).

დანტეს ოფიციალური განათლება შეივსო იმ „არაფორმალური“ კონტაქტებით, რაც მას კულტურულ სტიმულს აძლევდა და რაც მომდინარეობდა ქალაქის მაღალი წრიდან, ასევე უშუალო ურთიერთობიდან მოგზაურებთან და ვაჭრებთან, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყნიდან ახალი ფილოსოფიური თუ ლიტერატურული ამბები შემოჰქონდათ (ცნობილი იყო მათ შორის ბრუნეტო ლატინი (Brunetto Latini), რომელიც საფრანგეთში ხანგრძლივი ყოფნის შემდეგ დაბრუნდა, როგორც რესპუბლიკის ელჩი და როგორც გადასახლებული. თავად დანტე მოიხსენებს მას „ღვთაებრივ კომედიაში“, *ჯოჯოხეთი*, ქება XV, მ. 85, როდესაც წერს: „m'iussegnavate come l'uom s'eterna“ - „შემასწავლიდით, უკვდავებას ადამიანი თუ რა გზით იხვეჭს“ - თარგმ. კ. გამსახურდიასი). საყვარელი ბეატრიჩეს გარდაცვალების შემდეგ (სავარაუდოდ, 1291 და 1294/1295 წლები) მან დაიწყო თავისი *ფილოსოფიური კულტურის* დახვეწა სანტა მარია ნოველას დომინიკელთა და სანტა კროჩეს ფრანცისკელთა სკოლებში, გახდა ბონავენტურას (di Bagnoregio) და თომა აკვინელის (Tomaso d'Aquino) იდეების მიმდევარი. თავისი ცოდნა გაიღრმავა ასევე მეცნიერის,



მამა ლუჩია ანტოვანი

შუა საუკუნეების ცნობილი ფილოსოფოსის, ბერი დე ჯიროლამის (Gerolamo de Girolami) მოსმენით. გარდა ამისა, კითხვა იმ ინტელექტუალთა კომენტარებისა, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ თომისტურ ინტერპრეტაციას (როგორც იყო არაბი ავეროესი Averroè), დანტეს საშუალებას აძლევდა, არისტოტელიზმის პოლიფონიური მგრძობელობა შეეძინა. შესაძლოა, დანტე სწავლობდა კიდევ ბოლონიის უნივერსიტეტში და პარიზშიც გაემგზავრა (1309 და 1310 წლებში), მაგრამ ამის მტკიცებულება არ მოიპოვება.

ბამრძელუბა მამდამ ნომერში



ეკლესიის სოციალური სწავლება - სემინარი საბაუნში

23-25 ნოემბერს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ეკლესიის სოციალური სწავლების ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ვორქშოპი/სემინარი ეკლესიის სოციალური სწავლების საკითხზე. სამდღიანი შეხვედრების თემა იყო:

- პიროვნების ღირსება
- სიცოცხლის დაცვა პირველივე დღეებიდან
- ქორწინება და ოჯახი
- სამსახური და საკუთრება

სემინარებს უძღვებოდნენ გერმანელი პროფესორები: პეტერ შალემბერგი (პადერბონის უნივერსიტეტი, მორალური თეოლოგია და ეკლესიის სოციალური სწავლება) და ლარს შეფერსი (ფრიდრიხ ვილჰელმის უნივერსიტეტი ბონში, ეკლესიის სოციალური სწავლება).

დღის წესრიგის მიხედვით, მომხსენებლების ლექციების შემდეგ, დრო ეთმობოდა თემების ჯგუფებში განხილვასა და პრეზენტაციებს.

სემინარებს ესწრებოდნენ როგორც გარეშე პირები, ასევე წარმომადგენლები საბაუნიდან, საქართველოს კარიტასიდან, წმ. კამილოს ცენტრიდან და ინერ-საქართველოდან. მონაწილეებს შორის იყვნენ: საბაუნის დამფუძნებელი, მეუფე ჯუზეპე პაზოტო, კათოლიკე ეკლესიის სასულიერო პირები და მედია საშუალება catholic.ge-ს წარმომადგენლები.

სემინარების დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ მონაწილეობაში დამადასტურებელი სერტიფიკატები.



ფიქრები დღეზე, რომელის არ აღინიშნა



მეოცნებენი და თავისუფალნი - ასეთნი სურდა ეხილა პაპ ფრანცისკეს ახალგაზრდები, რომლებიც ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, სამყაროს მეფის დღესასწაულზე აღნიშნავდნენ მსოფლიო ახალგაზრდობის XXXVI დღეს, მიძღვნილს თემაზე: „წამოდექი... მე დაგადგენ იმის მონმედ, რაც იხილე“ (შდრ. საქმე 26,16). საინტერესო იქნებოდა სათითაოდ გასაუბრება იმ ახალგაზრდებთან, რომლებიც ამ დღის აღსანიშნავად თავიანთ ეპარქიებში შეიკრიბნენ და მათგან იმის მოსმენა, რისი მნახველნიც გახდნენ ბოლო ორი წლის განმავლობაში.

თავად შეხვედრის თემა იწვევს მათ იმ უსაზღვრო გამოცდილების გასაზიარებლად, რაც ამ პერიოდში განიცადეს, როგორ ცხოვრობდნენ ისინი პანდემიის დროს, ამ საშინელ და მაინც წარმოუდგენლად ჰუმანურობით სავსე პერიოდში. ვინ იცის, იქნებ გაოცებულნიც დავრჩეთ ახალი თაობის მიერ მომავლის გააზრების უნარით, მიუხედავად იმ მძლავრი წინააღმდეგობისა, რასაც ჩვენი ადამიანური მანკიერებანი იწვევენ. დაამოწმონ არა მხოლოდ ის, რაც იხილეს, არამედ ისიც, რაც მათმა გულმა შეიგრძნო სიყვარულის, სოლიდარობის, სამართლიანობის, მზრუნველობის დიდი თუ მცირე შესტებით, რაც ხშირად ახალ სულს შთაბერავს ყოველდღიურ ცხოვრებას, რომელიც ძალზე

შორს დგას მედიის თვალთახედვისგან. ახალგაზრდები თითქოს ნაადრევად მომნიფებულები გვეჩვენება, თუმცა უფრო მეტად მყიფენი. ამიტომ ეკლესიის ვალია, დაინახოს მათი ცხოვრებისეული რყევები, მოუსმინოს მათ კითხვებს, მათ მტკიცე წინააღმდეგობებს. **რა კარგი იქნებოდა, ამ დღეს საქართველოში, ახალშენში ჩვენი კათოლიკე ახალგაზრდებისთვისაც მოგვესმინა... მაგრამ, სამწუხაროდ, 20 ნოემბერს დაგეგმილი ეს დღე სოფელ ახალშენში პანდემიის გამო ვერ აღინიშნა.** ჩვენი ახალგაზრდებისთვისაც უმნიშველოვანესად რჩება პაპის სიტყვები, რომლითაც მან ქადაგებისას მიმართა ვატიკანის ბაზილიკაში შეკრებილ ახალგაზრდებს, თუნდაც მცირე რაოდენობას, იმ რიცხვთან შედარებით, ამ დღეს, ბზობის კვირას, თავიანთ ეპარქიებში რომ შეიკრიბნენ. პანდემიამ ბევრი რამ შეცვალა და რომის პაპმა ფრანცისკემაც დღესასწაულის თარიღის შეცვლა გადაწყვიტა. თავის ქადაგებაში, საკითხავების კომენტარებისას, რომის პაპმა გამოყო ორი თემა: ოცნებებით ბრძოლა სიბნელესთან, თუნდაც იმიტომ, რომ „ღმერთი ღამით მოდის, ხშირად ბნელ ღრუბლებში, ჩვენს ცხოვრებას ბურუსში რომ ახვევს. ჩვენ გვჭირდება მისი შემჩნევა, რათა ღამის მიღმა გავიხედოთ, მზერა აღვაპყროთ მაღლა, რათა დავინახოთ იგი წყვიდის შუაგულში“, გვჭირდება, რომ „თვალი

მოწვევით მინას და მალა ავიხედოთ, რათა დავძლიოთ ცდუნება, შიშმა რომ არ შეგვიპყროს, ჩვენს ფიქრებში არ ჩავიკეტოთ და თავს არ დავტიროდეთ“. ამიტომაც არის აუცილებელი ოცნება, და პაპი ფრანცისკეც ასე მიმართავს ახალგაზრდებს: „მადლობელი ვართ, როდესაც ოცნებობთ, როდესაც იესოს თქვენი ცხოვრების ოცნებად აქცევთ და სიხარულით, გადამდები ენთუზიაზმით იღებთ მას!“ მადლობა იმ ოცნებისათვის, რაზედაც იესო ოცნებობდა: ძმობა, სოლიდარობა, სამართლიანობა, მშვიდობა. ეს გვეხმარება ჩვენ, უფროსებს, და ეკლესიას. დიახ, ჩვენ, როგორც ეკლესიას, გვჭირდება ოცნება, გვჭირდება ახალგაზრდული ენთუზიაზმი და მგზნებარება, რათა ვიყოთ მოწმენი ღვთისა, რომელიც მარად ახალგაზრდაა!“

მეორე თემა არის თავისუფლება, რომელსაც იესო პილატეს წინაშე ავლენს, ჭეშმარიტებიდან გამომდინარე. როგორც პაპი ამბობს, თავისუფლება, რომელიც დაკითხვას გვინცობს: „იესოს ჭეშმარიტების წინაშე, იმ ჭეშმარიტების, რომელიც არის იესო - განა რად ღირს ჩემი სიცრუე, ჩემი ორპირობა, მას რომ არ მოსწონს?“ თავისუფლება, რაც ნიშნავს ღინების წინააღ-

მდეგ წასვლას, - განმარტავს პაპი, - „და არა ვილაცის წინააღმდეგ, როგორც ამას აკეთებენ ვიკტიმისტები (ადამიანები, რომლებიც თავს მსხვერპლად მიჩნევენ) და შეთქმულების თეორიის მომხრენი, რომლებიც ყოველთვის სხვებს ადანაშაულებენ; უარი ვუთხრათ ჩვენს ეგოისტურ, ჩაკეტილ და სასტიკი „მე“-ს არაჯანსაღ დინებას, რათა ფეხდაფეხ მივყვეთ იესოს; ის გვასწავლის ბოროტებასთან ბრძოლას მხოლოდ სიკეთის თვინიერი და დიდსულოვანი ძალით. შემოვლითი გზებისა და სიყალბის გარეშე. მრავალი ბოროტებით დაჭრილ ჩვენს სამყაროს არ სჭირდება ორაზროვანი კომპრომისები, ადამიანები, აქეთ-იქით რომ მიმოდინ ზღვის ტალღებივით, ხან მარჯვნივ გადაიხრებიან, ხან კი მარცხნივ, იქითკენ, სადაც უფრო მოსახერხებელია... არა, ძვირფასო ახალგაზრდებო! იყავით თავისუფლები, გულწრფელები, კრიტიკულად განწყობილნი საზოგადოებრივი აზრის მიმართ... ესწრაფეთ ჭეშმარიტებას, რათა თქვენი ოცნებებით შექლოთ თქვათ: ჩემი ცხოვრება არ ემონება ამქვეყნიურ ლოგიკას, ვინაიდან მე იესოსთან ერთად ვმეფობ სამართლიანობის, სიყვარულისა და მშვიდობისათვის!“



რატომ, დედა? რატომ, მამა?



ჟურნალ „საბას“ რედაქციის გადანყვეტილებით, 2022 წლის განმავლობაში ჩვენს მკითხველს შევთავაზებთ ახალ რუბრიკას „ბავშვების შეკითხვები მშობლებს“, რომლის მიზანია, ერთმანეთს გაუზიაროთ, რამდენად მნიშვნელოვანია შვილების მიერ დასმული შეკითხვები და მშობელთა პასუხები. ჩვენ უნდა ვუპასუხოთ კითხვებს არა როგორც ფსიქოლოგებმა, პედაგოგებმა ან შესაბამისი დარგის სპეციალისტებმა, არამედ ბავშვებისთვის გასაგებ მარტივ ენაზე, ისე, როგორც ესაუბრებიან მშობლები შვილებს.

იყო მშობელი, საოცარ შეგრძნებასთან ერთად, საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობაა. ჩვენ, მშობლები, ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენი შვილები იყვნენ ჯანმრთელები, გაიზარდონ მშვიდ, ოჯახურ გარემოში, მიიღონ კარგი განათლება და ჰქონდეთ წარმატებული მომავალი. ამისთვის მშობლებს საკმაოდ დიდი მოთმინება და ძალისხმევა გვჭირდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი წლები, როდესაც ბავშვი იწყებს გარემოს გაცნობას და სვამს უამრავ შეკითხვას, ზოგჯერ შემანუხებლად იმეორებს ერთსა და იმავეს და იძულებულნი ვართ, ვუპასუხოთ, რამაც შეიძლება ჩვენი გულისწყრომაც გამოიწვიოს. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, ბავშვი იმიტომ სვამს კითხვას, რომ შეიმეცნოს სამყარო, შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი, როგორც მშობლების (ან აღმზრდელების) მიერ გაცემული სწორი პასუხე-

ბი. მშობლებისა და შვილების კითხვა-პასუხზე საუბრისას, გამოვყოფდი რამდენიმე ფაქტორს, რომლის გათვალისწინებაც გვინევს.

არ არსებობს უაზრო კითხვა:

როდესაც ბავშვი კითხვას სვამს, ნიშნავს, რომ მას აინტერესებს მისთვის უცხო მოვლენა ან ნივთი და სურს მის შესახებ შეიტყოს: რა არის? რატომ არის? როგორ ხდება? სად არის? და ასე შემდეგ. ნურც პასუხის გაცემის შემდეგ დასმული კითხვების შეგვეშინდება, პირიქით, ამით ჩვენ სამყაროს უკეთ შემეცნებაში ვეხმარებით შვილს. რაც არ უნდა აბსურდულად მოგვეჩვენოს ბავშვის შეკითხვა, ვეცადოთ, ეს არ ვაგრძნობინოთ, რადგან მათ მოტივაციას

მოუკლავს და შეზღუდავს. ბავშვები ყოველთვის ლოგიკურ კითხვებს სვამენ, ეს შეიძლება ჩვენ გვეჩვენებოდეს აბსურდად.

აუცილებლად გამოვჩალოთ დრო ბავშვების კითხვების მოსასმენად და მათ საპასუხოდ:

მშობლებს ხშირად რთულ პირობებში გვინევს შვილების გაზრდა. დატვირთული სამუშაო გრაფიკის შემდეგ სახლის საქმეები გველოდება (განსაკუთრებით დედებს), რომელიც თითქმის არასდროს სრულდება. ყოველივე ამის ფონზე კი, ძნელია ყოველთვის გვექონდეს ბავშვებისთვის საპასუხო განწყობა. შეიძლება იმ წუთში ვერ ვუპასუხოთ, მაგრამ უნდა ავუხსნათ ისე, რომ მან უგულებელყოფილად არ იგრძნოს თავი. აჯობებს, ვუთხრათ, რომ ჯერ არ გვცალია და მოგვიანებით ვისაუბრებთ ამ თემაზე. რაც მთავარია, აუცილებლად შევასრულოთ დანაპირები.

ვეცადოთ, ბავშვის მიერ დასმულ კითხვას გავცეთ რეალური, მისი ასაკისთვის შესაფერისი პასუხი:

ბავშვის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად კარგი იქნება თუ მოვიშველიებთ თვალსწინებებს, მაგალითებს, რაც მას გაუადვილებს მოვლენის აღქმას. მაგრამ როგორ მოვიქცეთ, როდესაც საქმე ეხება მისთვის ყველაზე საინტერესო კითხვას: როგორ ჩნდება ბავშვი? ამ შემთხვევაში, უნდა ვეცადოთ, თავი ავარიდოთ ყოველგვარ მოგონილ ამბავს (წერომ მოგიყვანა,

ბავშვების შეკითხვები მშობლებს შორის პარუნაშვილი



მიერ დასმული საინტერესო კითხვების შესახებ, ასევე, სურვილის შემთხვევაში, თავიანთ პასუხებსაც.

P.S. ტექსტზე მუშაობისას საინტერესო სტატიას წავანყდი ინტერნეტში. ერთ-ერთი ცნობილი მარკეტინგული კომპანია **Marketer.ge** აქვეყნებს ერთგვარ ექსპერიმენტს სათაურით: **რა კითხვები აქვთ ბავშვებს ღმერთთან?** ეს იდეა, თავის მხრივ, კომპანიას აღებული აქვს ინგლისურენოვანი საიტიდან **Boredpanda.com**, რომლის მიხედვითაც მესამე კლასელ ბავშვებს მისცეს საშინაო დავალება, დაესვათ შეკითხვები ღმერთისთვის. პასუხები ორივე სტატიაში ძალიან გულწრფელი და საინტერესოა. ეს გვერდი რომ უფრო საინტერესო იყოს მკითხველისთვის, კარგი იქნება, ჩვენც ვიცოდეთ, რას ჰკითხავდნენ ჩვენი პატარა მკითხველები ღმერთს. მათ პასუხებს კი დროდადრო დავებჭდავთ ჟურნალ „საბაში“. რაც მთავარია, ბავშვებმა და მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ ნებისმიერი კითხვა, როგორც არ უნდა იყოს ის, საინტერესო იქნება, რადგან პატარებს ეკუთვნით, ბავშვები კი, როგორც ყოველთვის, ყველაზე ჭკვიანურ კითხვებს სვამენ.

კომბოსტოში გიპოვეთ და ა. შ.) და აფუხსნათ მისი ასაკის შესაბამისად, რომ ის დედის მუცლიდან დაიბადა (დეტალების გარეშე). ბავშვებს, ისევე როგორც ზრდასრულებს, ძალიან მოსწონთ, როცა მათთან გულწრფელები არიან.

არ დავტოვოთ ბავშვი პასუხის გარეშე: ბავშვები მშობლებისა თუ აღმზრდელების მეშვეობით შეიმეცნებენ სამყაროს. ძალიან მნიშვნელოვანია, გამოვჩაბოთ დრო მათ მოსასმენად და ვეცადოთ, ვუპასუხოთ გულწრფელად. პასუხი შეიძლება იყოს მარტივი და ლაკონური. მაგრამ თუ ვეცდებით: „რადგან გეუბნები, ასე“, ვერ დავებმარებით შეილს, პირიქით, მას უფრო მეტი კითხვა გაუჩნდება. ბავშვი იმიტომ სვამს კითხვას, რომ აინტერესებს პასუხი. თუ არ ვიცით, რა ვუპასუხოთ, შეგვიძლია ვუთხრათ, რომ ძალიან კარგი შეკითხვაა, მაგრამ არ გვაქვს პასუხი, თუმცა მზად ვართ, მასთან ერთად მოვიძიოთ ინფორმაცია. ციფრული ტექნოლოგიების წყალობით, ეს პროცესი დღეს გაცილებით მარტივია, ვიდრე ჩვენი მშობლებისა და, მით უფრო, ბებია-ბაბუების დროს იყო. როდესაც ბავშვს უარს ვეუბნებით პასუხის გაცემაზე, ან უბრალოდ უგულებელვყოფთ, ამით მას მივანიშნებთ, რომ მისი შეკითხვა მნიშვნელოვანი არაა, რაც ბავშვის თვითშეფასებაზე უარყოფითად აისახება.

ეს არის ის ძირითადი ფაქტორები, რაც, ჩემი აზრით, უნდა გავითვალისწინოთ ბავშვებთან ურთიერთობისას. „საბას“ შემდგომ ნომრებში ვეცდებით, უშუალოდ კითხვა-პასუხები განვიხილოთ. კარგი იქნება, თუ მშობლები მოგვანვდიან ინფორმაციას შეილების

ღმერთისთვის. პასუხები ორივე სტატიაში ძალიან გულწრფელი და საინტერესოა. ეს გვერდი რომ უფრო საინტერესო იყოს მკითხველისთვის, კარგი იქნება, ჩვენც ვიცოდეთ, რას ჰკითხავდნენ ჩვენი პატარა მკითხველები ღმერთს. მათ პასუხებს კი დროდადრო დავებჭდავთ ჟურნალ „საბაში“. რაც მთავარია, ბავშვებმა და მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ ნებისმიერი კითხვა, როგორც არ უნდა იყოს ის, საინტერესო იქნება, რადგან პატარებს ეკუთვნით, ბავშვები კი, როგორც ყოველთვის, ყველაზე ჭკვიანურ კითხვებს სვამენ.

მშობლებო, გთხოვთ, მოგვანოდოთ თქვენი შეილების მიერ დასმული კითხვები შემდეგ მისამართზე: sh.parunashvili@gmail.com, ან დამიკავშირდით სოციალურ ქსელში Facebook: [Shorena Parunashvili](https://www.facebook.com/ShorenaParunashvili).



მონაზონი ზოია პოზოიანი

„გამოგზავნე შუქი შენი და ჭეშმარიტება შენი, რომ წამიძღვენ მე, და მიმიყვანონ შენს წმიდა მთასთან და შენს სამკვიდროსთან“ (ფსალმ. 42, 3).

მონაზონი ზოია პოზოიანი დაიბადა 1933 წლის 9 თებერვალს სამხრეთ საქართველოში, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვილისში, მორწმუნე ოჯახში. მისი ბაბუა მკრტიჩ პოზოიანი სომხური წესის მღვდელი იყო. ზოიას მშობლებს, ანტონ პოზოიანსა და ერანა სოროხარიანს სამი ქალიშვილი და ერთი ვაჟი ჰყავდათ. სკოლის დამთავრების შემდგომ ზოიამ სამედიცინო განათლება მიიღო და 30 წელი იმუშავა მედდად საკუთარ სოფელში. 1982 წელს იგი ფარულად შევიდა ევქარისტის დების კონგრეგაციაში. 1986 წლის 14 ივლისს მან სამუდამო აღთქმები დადო. შემდეგ კი, 35 წლის განმავლობაში, თავდაუზოგავად ემსახურებოდა ქრისტეს და ეკლესიას ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კათოლიკურ სამრევლოში. კომუნისტურ პერიოდში, რელიგიური შევიწროების დროს, და ზოია, თანასოფლელებთან, მონაზონ ანასურ არსენიანთან და მონაზონ ანა მარია მოვსევიასთან ერთად, დიდად ეხმარებოდა მღვდლებს, მათ ქადაგებებს სომხურ ენაზე გადასცემდა მორწმუნეებს, რომელთაც საიდუმლოებების მისაღებად ამზადებდა სომხურ და ქართულ სოფლებში.

2005 წელს, როდესაც სხვილისში მათი სახლი დაიხურა, მონაზონი ზოია საქართველოდან რუსეთში, ტომსკში გადაიყვანეს. მიუხედავად თავისი ასაკისა, იგი ზოია ბევრს მუშაობდა, უყვარდა სისუფთავე და ცდილობდა, ყველაფერი წესრიგში ყოფილიყო. თავისუფალ დროს სამლოცველოში ან სასულიერო ლიტერატურის კითხვაში ატარებდა. მონაზონი ზოია ჩაერთო პასტორალურ საქმიანობაში, განსაკუთრებით სომხებისთვის ქადაგებდა, ატარებდა სხვადასხვა ტიპის გაკვეთილებს და სომხური წესის წირვებზე სომხურ ენაზე გალობდა. მას ურთიერთობა ჰქონდა არა მხოლოდ სომხებთან, არამედ ყველასთან. ხშირად მონაზონს ტაძრიდან სახლამდე აცილებდა რომელიმე მორწმუნე, ესაუბრებოდა თავის პრობლემებზე და მისგან რჩევას იღებდა. და ზოიას განსაკუთრებული გულმონყალება და სხვებისთვის ლოცვაში გამოიხატებოდა.

ბოლო წლებში მონაზონ ზოიას მალალი წნევა და გული ანუხებდა, მაგრამ ცდილობდა, შეძლები-



სდაგვარად დახმარებოდა მონაზვნებს სახლის საქმეებში, არ სურდა, სხვისთვის გამოუსადეგარი ყოფილიყო. 2021 წლის ნოემბრის დასაწყისს იგი კოვიდით დაავადდა; 18 ნოემბერს საავადმყოფოში, რეანიმაციის განყოფილებაში გადაიყვანეს. გაძლიერებული კარანტინის გამო მონაზვნები ვერ ახერხებდნენ მის მონახულებას. 23 ნოემბერს მათ შეძლეს მღვდლის მიყვანა, რომელმაც მონაზონი ზოია ავადმყოფთა ზეთის ცხებისა და ევქარისტის საიდუმლოს აზიარა. იგი გარდაიცვალა 25 ნოემბერს, ქალაქ ტომსკში, 89 წლის ასაკში. მისი სულის მოსახსნიებელი წირვა აღევლინა 29 ნოემბერს, ტომსკის წმიდა სავარდის დედოფლის, უწმიდესი ღვთისმშობლის კვართის ტაძარში. დაკრძალულია ციმბირის ქალაქ ნოვოსიბირსკის კათოლიკურ სასაფლაოზე.

მონაზონ ზოიას ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ყველას გულში, ვინც მას იცნობდა, ვისაც ის ემსახურებოდა და ეხმარებოდა.

ISSN 2720-8001

საბბე

 CATHOLIC.GE
media portal

საბუღალთო-სამედიუმიკო კათოლიკოსთა თვეური
THE MONTHLY BULLETIN OF CATHOLICS OF GEORGIA - SABA

ბიზნესი რეკლამების: გაერთილებული მედიის კვლევის ცენტრი CSS

ხარისხიანი კონტენტი: ნუგარ ბარბაქაძე, ვერიკო ნიჭიძე, შორენა პარუნაშვილი, მერაბ ლავანიძე, თეონი ხოთარაძე

მედიის ბიზნესი: მუხომბე, მხრედი სურმადა, თამარ სეფენაძე

მიხედვით: ეურნა ჯაბახაძე, რედაქციის ვებ-გვერდი: www.catholic.ge, თბილისი, საქართველო;

E-mail: saba.journal@gmail.com; რეგისტრაციის №1853, ფარსეთი მანანა ანდროიაძის ქუჩა 1955 წელი, 9800